ნანა ფალავანდიშვილი

მიგრანტები

წიგნი I

პოლისმენი

გუძღვნი ნენსი ბორნის,
ჩემი ერთგული და უღალატო
ირლანდიელი მეგობრის ხსოვნას

ნანა შალამბერიძე,
მიგრანტები (პოლისმენი), წიგნი I.
გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2017. გვ. .

რედაქტორები: **ნინო ბაქანიძე**
ფილოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თალიკო ჟვანია
ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

© ნანა შალამბერიძე.

ISBN - 978-9941-0-9846-8

ნანა ფალავანდიშვილი

მიგრანტები

წიგნი I

თბილისი
2017

წინათქმა

ნანა შალამბერიძის „მიგრანტების“ წაკითხვამ უნებლიეთ გამახსენა ტერენტი გრანელის ერთი პროზაული ჩანახატი, სათაურით - „გულიდან სისხლის წვეთები“ და ვფიქრობ, არც თუ შემთხვევით. მართლაც რომ, გულიდან გამოწურული სისხლის წვეთებითაა გაჟღენთილი ნაწარმოების ყოველი ეპიზოდი (კადრი), ყოველი ფრაზა თუ სიტყვა. მკითხველს ერთდოულად მოხიბლავს და შეძრავს ავტორის გულწრფელი თხრობის მანერა, მოვლენების სწორი და ზუსტი შეფასების უნარი, ღრმა ფსიქოლოგიზმი, გნებავთ - ცალკეულ მოვლენათა პოეტური აღქმაც კი.

სრულიად გამორჩეული და თვითმყოფადია ავტორისეული თხრობის პერსპექტივა: სახელდობრ, თხრობა წარმოებს I და III პირთა დინამიური მონაცვლეობით, თუმცა ნაწარმოების ჩარჩოს (I და უკანასკნელი კადრები) კრავს III პირში მოთხრობილი ამბები. შესაბამისად, ნანა შალამბერიძე იმავდროულად მთხრობელი-

ცაა და საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟიც. ამ ურთულესი მხატვრული ხერხით ავტორს, ალბათ, სურს მიგვანიშნოს, რომ „მიგრანტი“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიცაა და უფრო მეტად - სულის ბიოგრაფია, რომელიც კონ-კრეტულიცაა და განზოგადების საშუალებას-აც აძლევს მკითხველს.

კადრების კალეიდოსკოპური მონაცვლეობა მკითხველს იმის საშუალებასაც აძლევს, რომ ავტორთან ერთად „უყუროს“ ტექსტს. „პოლის-მენის“ ვიზუალური ეფექტი, მართლაც რომ, შთამბეჭდავია. ჩვენ შეგვიძლია მთხრობელ პერსონაჟთან ერთად ვისეირნოთ დუბლინის ქუჩებში, გრაფტონ სტრიტსა ან ჰენრი სტრიტ-ზე, შევიცნოთ ამ ცენტრალური ქუჩების რო-მანტიკული ხიბლი, ვეზიაროთ მჩქეფარე კულ-ტურულ ცხოვრებას, რითაც სუნთქავენ ეს ქუ-ჩები, მოვხვდეთ ტიპიურ დუბლინურ ოჯახებ-ში, გავიცნოთ სათნო და კეთილი ადამიანები, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან, დახმა-რების ხელი გაუწოდონ აქ ჩამოსულ უცხოელ-ებს. გულიდან ჩამოწურული პირველი სისხლის წვეთიც ხომ უკვე „მიგრანტების“ მიძღვნაშია ჩაწურული: „ვუძღვნი ნენსი ბორნის, ჩემი ერ-თგული და უღალატო ირლანდიელი მეგობრის, ხსოვნას“.

უეცრად კადრი იცვლება. მკითხველი ახლა ავტორის მშობლიურ ნაქალაქევშია და მასთან ერთად ტკბება ძველი ეგრისის (ლაზიკის) სიმ-

შვენიერით, მისი ისტორიული არეალით. იმავდროულად ვეცნობით ნანა შალამბერიძის ოჯახის წევრებს და ისინი, ყველა ერთად (ქართველებიცა და დუბლინელებიც) მომენტალურად შენი ახლობელი ადამიანები ხდებიან.

და მაინც: სახელდობრ რა ქმნის მხატვრული ტექსტის უმთავრეს ღერძს, რომლის გარშემოც თავს იყრიან თუ ტრიალებენ ცალკეული მოვლენები და ეპიზოდები?! - ესაა დუბლინის სადეპორტაციო ზონა, სადაც ბრმა შემთხვევისა და „ჩამშვებ“ თანამემამულეთა მეოხებით აღმოჩნდება ავტორი. ასეთი უმძიმესი ცხოვრებისეული განსაცდელის პირისპირ მდგარი, მაგრამ მედეგი და შემოქმედებითი სულის მქონე ადამიანი - ნანა შალამბერიძე სწორედ ამ გადასახედიდან აფასებს განვლილ ცხოვრებას. შესაშური ფსიქოლოგიზმით აღწერს იგი იმ ადამიანთა პორტრეტებს (ქართველებსა თუ დუბლინელებს), რომელთა უმეტესობა მას მუდამ მხარში ედგა, ზოგიერთებს კი უბრალოდ გადაუფასებიათ ადამიანური ფასეულობანი, უარეს შემთხვევაში კი მოარულ „გვამებად“ ქცეულან.

ავტორის უდიდეს დამსახურებად, ალბათ, ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ნანა შალამბერიძის სულის ბიოგრაფია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის ბედიღბალს ასახავს, არამედ მკითხველს ტექსტის განზოგადებისა და მონათხრობის უფრო ფართე ჭრილში და-

ნახვის საშუალებასაც აძლევს.

მიგრაცია და მიგრანტის ყოფა უცხო ქვეყანაში მართლაც დიდი ხანია გასცდა ცალკეულ ადამიანთა პირადი ტრაგედიის ჩარჩოებს, ხოლო დღევანდელ დღეს იგი ზოგადსაკაცობრიო პრობლემადაც კი ქცეულა.

თუმცა, ალბათ, მხოლოდ ნანა შალამბერიძესავით ფაქიზი და პოეტური სულის მქონე ადამიანს ძალუძს ამგვარი ურთულესი ცხოვრებისეული და სულისმიერი ლაბირინთებიდან ღირსეულად გამოსვლა, კარგისა და ცუდის, თეთრისა და შავის სათანადო გადააზრება და შეფასება. ადამიანებს კი არა და, ემიგრანტი-ავტორის შინაგანი მზერა დუბლინელი ბელუ-რების ზნე-ჩვეულებებსაც კი სწვდება, რაც მას პარალელურად მშობლიურ ნაქალაქევში „მერ-ცხლების ეპიზოდს“ ახსენებს. საერთოდ ამგვა-რი პოეტური ჩანართები მრავლადაა ტექსტში და ისინი, თამამად შეიძლება ითქვას, დამოუკ-იდებელი, მხატვრული ფასეულობის მქონე ნა-წარმოებია.

კიდევ ერთიც: ბუნებისა თუ ფრინველე-ბის იდუმალი სამყაროს გათავისება, საკუთარ ფესვებთან გამუდმებული დაბრუნების სურ-ვილი პოეტურ-რომანტიკული სულის მქონე ადამიანს მომავლის ვიზიონური ხედვის უნ-არსაც უმძაფრებს. ამ თვალსაზრისით ნიშან-დობლივია სიზმრის ლაიტმოტივი მხატვრულ ტექსტში. სიზმარი, როგორც მოსალოდნელი

საფრთხის მაუწყებელი, სიმბოლო-საგნად ნანა შალამბერიძის მუდმივ ცხოვრებისეულ თანამგზავრად ქცეულა. ამჯერადაც, მთხრობელისა და მისი მეგობრების აყვანის წინა ღამეს, ძილში ევლინება ცისფერთვალება, ქერათმიანი პოლისმენი, რომელიც მათი ბინის კარზე აკაკუნებს და მისი გამოსახულებაც მკაფიოდ მოჩანს კარებზე დატანებული ორნამენტებიანი მინიდან. ეს „უკვე ნაცნობი“ პოლისმენი მეორე საღამოს მართლაც ცხადდება ნანასა და მისი მეგობრების ბინაში... იგი ერთხელ კიდევ ჩნდება ნაწარმოების ბოლო კადრში, როცა სხვა თანმხლებ პირებთან ერთად გამოდეპორტებულ ქართველ ემიგრანტებს თვითმფრინავით ჩამოაცილებს თბილისის აეროპორტში. ყველასთვის მოულოდნელად, პირველ რიგში თავად პოლისმენისთვის, პერსონაჟი-მთხრობელი ნანა შალამბერიძე მას დამშვიდობების ნიშნად ხელს უწვდის და მსუბუქი ნაბიჯებით ტოვებს თვითმფრინავის სალონს. მსუბუქად მხოლოდ ალალ-მართალი, პირნათელი ადამიანები დააბიჯებენ დედამიწაზე, პოლისმენი კი (კონკრეტულ შემთხვევაში!) პირქუში ძალისა და უხეში კანონმდებლობის განსახიერებაა. სამაგიეროდ, ნანა შალამბერიძის „პოლისმენი“ („მიგრანტები“) უდავოდ მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რომელმაც შეუძლებელია, სულით ხორცამდე არ შეძრას მკითხველი. ეს გულიდან ჩამოწურული სისხლის წვეთებით დაფერილი

აღსარებაა, რომელიც ნებისმიერი ადამიანისგან უდიდეს შინაგან ძალისხმევასა და გამბედაობას მოითხოვს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ, რომ ავტორს კვლავ და კვლავ ასე „მსუბუქად“ ევლოს სირთულეებით აღსავსე ცხოვრებისეულ და შემოქმედებით გზაზე.

ნინო ბაქანიძე,
რევაზ ინანიშვილის სახელობის
ლიტერატურული კონკურსის ლაურეატი

ცდილობდა, გაქცეოდა განცდებს. ეგონა, დამთავრდა კოშმარები და უკვირდა, რატომ იწვევდნენ ხელახლა კადრები, ერთმანეთში უსისტემოდ არეულნი, ან რატომ ცდილობ-დნენ მის აფორიაქებას. დიდხანს ებრძოლა თავს, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა მათ ნებას და კადრების დალაგებას შეუდგა.

კადრი პირველი

დაბნეული აძვრა საკნის ორსართულიანი საწოლის ზედა იარუსზე. ფრთხილად სუნთქავ-და, რომ გაურკვეველი მძაფრი სუნით გაჟღენ-თილი ჰაერი ღრმად არ ჩაესუნთქა.

თითქოს ინათა. ჩქამი არსაიდან ისმოდა.

„ნეტავ რა დროა?“ უნდოდა, მობილურის ეკრანზე დაეხედა. გაახსენდა, შენობაში შე-მოსვლისთანავე თავაზიანად რომ ჩამოართვეს მობილური და კონვერტში ჩააცურეს. ჰო, თა-ნაც დაამატეს, წასვლისას აუცილებლად და-

გიბრუნდებათო. ძალიან მოუნდა, თავი აეწია და თვალი შეევლო იქაურობისთვის. თითქმის ღამის ორი საათი იყო, რომ მოიყვანეს. ორივენი უხმოდ შემოვიდნენ. უფრო მეტიც, გაწეული სერვისისთვის მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდა პოლისვუმენს და მაშინვე შეუდგნენ თადარიგს ჰორიზონტალური მდგომარეობის მისაღებად. დაწვა თუ არა, მხოლოდ ერთი ფიქრი აეკვიატა: რუსიკომ, უფროსმა ქალიშვილმა, დილაობით იცოდა ხოლმე დარეკვა და ამ დილას მის ზარს რომ არ უპასუხებდა, არ დაზაფრულიყო. ახლა მთავარი იყო, როგორმე ოჯახს შეხმიანებოდა. არსებული სიტუაცია მისთვის უჩვეულო და უცხო გახლდათ.

თავის ხელში აყვანა და გზის გაგნება! აი, რა არის საჭიროო, შეუძახა მხნედ თავს.

ერთბაშად ატყდა გადაძახილი შენობის ერთი ბოლოდან მეორეში, საკნიდან საკანში: ადგომის დროაა, 8-ზე კარებს გააღებენ, წამალი უნდა ავიღოთ. მგონი, ვიღაც მოიყვანეს წუხეეელ!

– დაჯი, ავდგეთ! ჩვენ ჯერჯერობით არავინ დაგვიძახებს, – დაიჩურჩულა ნანამ და მომენტალურად ორივეს თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა.

– ვერ ვინძრევი, წელი გამიშეშდა, ალბათ, წნევა მაქვს, – გაისმა დაჯის ცრემლნარევი ხმა.

– მერე, წამალი ხომ ყოველთვის ჩანთაში

გაქვს ხოლმე!

– ჩანთები ჩამოგვართვეს, დაგავიწყდა?!

– არ დამვიწყებია! წამალს მოვატანინებ.

ამ დროს კარები გაჩხაკუნდა: წუხანდელმა ჩვენთვის ნაცნობმა პოლისვუმენმა ორი ლიტრი რძე შემოდგა მაგიდაზე, რაისკრიპსები, ერთჯერადი ჭიქები, თეფშები და კოვზებიც დააწყო.

– მოწესრიგდებით, ისაუზმებთ! კარები საღამოს 9 საათამდე ღია იქნება. ექიმი მიღებას დილის ცხრიდან იწყებს. შინაგანაწესს თათბირზე გაგაცნობთ. ოთახში ნუ დარჩებით, ბაღში გადით! ნებისმიერ წუთს მზადა ვართ, თქვენს შეკითხვებს ვუპასუხოთ. პირადულზე ბევრს ნუ ილაპარაკებთ გარშემომყოფებთან, ანუ თქვენს კოლეგებთან! თავი აარიდეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემას! კოჰაბიტაცია სასურველია პრობლემების გარეშე, Please! – დაამთავრა მან ჩვენი დამოძღვრა და კარი გაიხურა.

მიწყდა თუ არა მისი ფეხის ხმა, კარებს ერთბაშად სამნი მოადგნენ და შემოაღეს.

– წუხანდელები ხართ? რაზე აგიყვანეს: ქურდობა, ნარკოტიკები თუ ჩხუბი ქუჩაში? – ჩამოყარა კითხვები ლოთის ჰაბიტუსიანმა გოგონამ.

– არც ერთი, – ყრუდ ისმის ნანას ხმა. თან ცდილობს, დრო მოიგოს და გაიხსენოს, სად უნახავს ეს გოგონა.

– უბრალოდ ჩვენი დოკუმენტები ჯერ არ იყო მზად ლეგალიზებაზე, ჩაგვიშვეს და აგვიყვანეს!

– ვინ ჩაგიშვათ, ჩვენმა ხალხმა? იცით, ვინ ჩაგიშვათ? – ბრაზით უელავს თვალები ერთ მათგანს.

– ირლანდიელებმა არა, დაწყნარდი, ისევ ჩვენებურებმა, ქართველებმა! ყველას გვყავს გადაგვარებულები!

– თქვენ პარნელსტრიტზე ხომ არ ცხოვრობთ? – თვალს თვალში უყრის ნანა.

– კი. საიდან მიცნობ? იქ ცხოვრობ?

– არა, აი ეს ჩემი მეგობარი ცხოვრობდა ერთი პერიოდი იმ ქუჩაზე, ვსტუმრობდი ხოლმე და მეცნობი! – მრავალმნიშვნელოვნად, რატომღაც ინსტინქტურად ამბობს ნანა.

– რა სპეციფიკური სუნი ტრიალებს აქ! რატომ არ აღებთ ფანჯარას?

– არ ვიცით, როგორ იღება. ან შეიძლება კი გაღება?

– პირველადა ხართ?

– პირველად.

– რამდენი წლისა ხართ?

– მე უკვე გავხდი 61-ის. ჩემი მეგობარიც მალე გახდება ამდენივე.

გოგონა სწრაფად დაიხარა და ფანჯრის ქვეშ მოთავსებული შეუმჩნეველი, ჰორიზონტალურად მოძრავი დარაბა გადასწია. შემოგრიალდა გრილი, დილის სუფთა ჰაერი.

– ადექით! საწოლებს გამოვწევ და დავათვალიერებ. მე ფიონა მქვია, – თქვა მან და გოგონებს გასძახა, ცოცხი და აქანდაზი მოეტანათ. დატრიალდნენ. საწოლის ქვეშ იმდენი რამე შეეყარა ჩვენს წინამორბედს, თვალებს ვერ ვუჯერებდით. თანაც თურმე მარტო ცხოვრობდა. საკუთარი თავის კი, ეტყობა, არ ერიდებოდა ან სულაც სინდისთან იყო მწყრალად! სულ ფ.....ის ძახილით დაასუფთავეს იქაურობა გოგონებმა. კიდევ მოვა აქ და ვაზღვევინებთო, დაიქადნეს.

ფიონამ თავი იმ კორპუსის ბოსად გააცნო მათ და უთხრა, თუ რამე პრობლემა შეგექმნებათ ან რამე გაინტრესებთ, მზადა ვარ, თქენ გვერდით ვიყოო.

გოგონებმა კარი გაიხურეს და გავიდნენ.

სულ რაღაც 5 წუთი არ იყო გასული და დერეფანში ხმა გაისმა, ნანა საქართველოდან რომელ ოთახშია, შემეხმიანოსო.

– აქა ვარ! – გააღო კარი ნანამ.

– მე სისტერ ანა ვარ. ნენსიმ და ჯერალინმა მოგიკითხეს. გთხოვეს, არ ინერვიულო. ადვოკატი კონორი მოვა თქვენთან. იქნებ, ჩემთან შემოხვიდეთ საუზმის შემდეგ. გოგონები მოგასწავლიან, სადაც ვარ.

სისტერ ანას ოთახი: 2 x 2-ზე, პაწაწკუნა, იმედითა და სითბოთი სავსე.

– ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ყველას დავეხმარო და აქ ყოფნა შევუმსუბუქო. ცხოვ-

რებაში ყველაფერი ხდება. არც ერთი თქვენ-
განი არა ხართ აქ არც პირველები და აღარც
უკანასკნელები.

წუხელ გვიან დამიკავშირდა ჯერალინი,
მისის ნენსის მეგობარი საემიგრაციოს ხალხს
აუყვანია და ვინ იცის, როგორ ნერვიულობ-
სო. დაამშვიდეთ და უთხარით, უნდა ვნახოთ,
ოღონდ თავის აპლიკაციაში ჩაგვწეროს, ისე
შეხვედრას არ დაგვინიშნავენო! – ღიმილი არ
მოშორებია სახიდან სიმპათიურ სისტერ ანას.

– ჰო, ჯერალინი თქვენს ქალიშვილს ელ-
აპარაკა ამ დილით და უთხრა, რომ კარგად
ხართ. შეჰპირდა, პერიოდულად ინფორმაციას
მოგაწვდიო.

თუ გინდათ, ჩემი მობილურიდან დაელაპარ-
აკეთ თქვენს ოჯახსო.

ნანას გაუბრწყინდა სახე: ეს მერამდენედ
იგრძნო ამ დილას, როგორ დასტრიალებდა
თავზე უსაყვარლესი ფერია. მის სმენას თით-
ქოს ფრთების მსუბუქი შრიალიც კი მისწვდა.

– ნუ გერიდებათ, ნომერი მიკარნახეთ!
თქვენი ქალიშვილი უფრო დამშვიდდება, ასე
ჯობია! – შორიდან, ძალიან შორიდან ესმოდა
ნანას სისტერ ანას ხმა.

– დედა, შენა ხარ, ხომ არ ნერვიულობ? ჯე-
რალინმა ყველაფერი კარგად იქნებაო. წუხელ
დამირეკა ნანა ჟორდანიამ და უკვე ვიცოდი.
არა უშავს, მოგვარდება! – ძალიან ახლოდან
ისმოდა რუსოს გაბზარული ხმა....

შემდეგ ექიმთან მიღებაზე ჩაეწერა.

ეზოში გასულს გოგონები შემოეხვივნენ. ერთი და იგივე შეკითხვები: ვინ? რატომ? როგორ? პასუხიც ერთი და იგივე. შემდეგ შეხვედრა პრიზონის უფროსთან, თხოვნა, ადვოკატთან და მისი ნახვის სავარაუდოდ მსურველ პიროვნებებთან შესახვედრად აპლიკაციის შევსების ნება დაერთო.

– მხოლოდ 8 პიროვნება უნდა ჩაწეროთ. მომდევნო კვირას შეგიძლიათ სია შეცვალოთ. დაამატოთ ან ამოაკლოთ ვინმე, თუ სურვილი გექნებათ, რა თქმა უნდა. ძალიან ადვილია! – აპლიკაციის ფურცელი წინ დაუდო პრიზონის უფროსმა.

– არა, ამაზე უნდა დავფიქრდე, მოგვიანებით შემოვიტან, – თვალები იატაკისკენ გაექცა ნანას.

– ასე ძნელია?

– არა, ძნელი არაა, მაგრამ უნდა დავფიქრდე, სავარაუდოდ ვის შეიძლება გაუჩნდეს ჩემი ნახვის სურვილი. მე ახლა ჩემთვის უჩვეულო სიტუაციაში ვარ! – ნანამ ხელი მოავლო ფურცლებს, დაემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

– ნენსი, ჯერალინი, მოია, ადვოკატი. ეს ოთხი. კიდევ ვინ? ბევრი დრო მოანდომა ამაზე ფიქრს. „ნანა ჟორდანია მოვა. ელისო მოვიდოდა, მაგრამ დოკუმენტები არა აქვს წესრიგში. მეტი? შალიკაშვილი არაა, თორემ მოვიდოდა,

ნადირაშვილი საქართველოშია. ისიც მოვიდოდა. თამილაც მოვიდოდა – ისიც წასულია. მანანა ხეცაძეც მოვიდოდა – წასულია, ლალი, კეთილი ლალი აუცილებლად მოვა, შეიძლება ფლორაც მოვიდეს“. საკუთარ თავს არ უმხელდა იმათ ვინაობას, ვინც საკუთარი ინიციატივით მხოლოდ იმისთვის მოვიდოდა, როგორმე მისგან რაიმე სარგებელი ჰქონოდა, თორემ მისი განცდები და მდგომარეობა სულაც არ ანაღვლებდა.

შემდეგ: ლანჩი, დასვენება, სადილი. სუფთა ჰაერზე ბაღის ირგვლივ ძუნძული. ჩაი ან რძიანი ყავა იმდენჯერ, რამდენჯერაც მოგინდება.

შეუმჩნევლად დაღამდა. როგორც იქნა გახდა 9 საათი. ყველა თავის ოთახს დაუბრუნდა.

თითქმის ოცდაოთხი საათი გავიდა. ახლა შეეძლო, მომხდარი აუჩქარებლად, აუღელვებლად გაეანალიზებინა - ზოგი რამ ხმამაღლა, ზოგი რამ დაჯისთვისაც კი არ გაემხილა. მისი საყვარელი გამოთქმა – „ყველა თავისებურად ჭრის და კერავს“ თავდაცვის საშუალებად არასდროს გამოუყენებია. ყოველთვის პატივს სცემდა სხვის აზრს, ანგარიშიც გაუწევია, მაგრამ ვიღაცის საამებლად სხვისი მცდარი შეხედულება არასდროს გაუზიარებია.

ახლა მისი, მხოლოდ მისი „ჭრისა და კერვის“ დრო იყო.

ეს ორშაბათს მოხდა, 25 სექტემბერს, ღამის 11 საათზე. იმ საღამოს სამუშაოდან ჩვეულებრივ ექვსის მერე დაბრუნდა. მთელი ღამის უძინრები იყვნენ ის და დაჯი. მთელი ღამე შფოთავდნენ, წრიალებდნენ ლოგინში, რატომღაც ვერ ისვენებდნენ. ოხვრა თავისდაუნებურად მოდიოდა გულიდან.

– ნანა, რა გვჭირს, ხომ ვერ მეტყვი?

– არ ვიცი!

– იცი, გაიხსენე! დაგავიწყდა?

– არა, მახსოვს. საფრთხე გვემუქრება. ამ დღეებში მოვინაცვლოთ ადგილი, ვიშოვოთ ახალი ბინა და გადავიდეთ! შაბათ დილას რომ წავთვლიმე, მაშინ დამესიზმრა. დრო გვაქვს, დაჯი!

– რა დაავიწყებდა! თითქმის წელიწადნახევარია სამუშაოს მერე პერიოდულად შეილასთან, ჯერალინის მეგობართან, მიდიოდა და იქ

რჩებოდა ხოლმე. შეილა ოპერაციის შემდეგ რატომღაც ღამღამობით სახლში მარტო დარჩენას თავს არიდებდა. ეშინოდა და, როცა მისი მეუღლე სამსახურეობრივ საქმეებზე ქვეყნიდან გავიდოდა, მიდიოდა ხოლმე მასთან. ესეც ერთგვარი სამუშაო იყო. ბოლო ჯერზე 14 დღე გადაბმულად მოუწია შეილას სახლში ცხოვრებამ.

იყო დღეები, როცა ისინი საერთოდ ვერ ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. რამდენიმე დღის წინათ შეილა ადრე დაბრუნდა სამსახურიდან და ჩაიზე მიიწვია.

– რამე პრობლემა ხომ არა გაქვს? მე შემიძლია დაგეხმარო, – მოულოდნელად ძალიან ბუნებრივად თქვა შეილამ და სახეში შეაჩერდა. ეჭვი არ ეპარებოდა ნანას და არც აღიზიანებდა, შეილა რომ თვალს ადევნებდა მისი იქ ყოფნის ყველა დეტალს. ეს ამ საუკუნის მონაპოვარი იყო. უფრო იმან გააკვირვა, ნუთუ ასე ადვილი შესამჩნევია, დაძაბული რომ ვარო. მაგრამ იმდენად ბუნებრივად, გულიდან მოდიოდა ეს შემოთავაზება, რომ სხვა შემთხვევაში თუ ხელებს გაასავსავებდა და იქით დაუსვამდა შეკითხვას, რას ეძახით პრობლემასო, ამჯერად არც უფიქრია, ისე გასცა პასუხი.

– კი, მაქვს აქ, დუბლინში. ორი წელია, დეპორტის ორდერი მაქვს. უფრო სწორად, დროებით თავშესაფარს ვითხოვდი, ჩემს დოკუმენტებზე ადვოკატი მუშაობდა და მე მშვიდად

ვცხოვრობდი. 2010-ში ყველა ქართველმა, ვინც ჩემსავით პასუხის მოლოდინში იყო, ერთდროულად დეპორტის ორდერი მიიღო. საფუძვლად ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მოთხოვნა დაედო ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ. ამას თვენახევარში გადეპორტების კასკადი მოჰყვა სპეციალური ავიარეისებით.

– ეს ყველაფერი ვიცი. შენ როგორ გადაურჩი?

– ვგრძნობ ხოლმე საფრთხის მოახლეობას და მისამართებს, ანუ საცხოვრებელ ადგილებს, ვიცვლი ხოლმე, – შეჰღიმა ნანამ.

– ვერ გავიგე.

– ახლავე აგიხსნით. რამდენიმე წელია, რაღაც ენერგიის წყალობით, სიზმარში ვნახულობ ხოლ მე იმ უსიამოვნებებს, რაც შეიძლება შეემთხვეთ ჩემი ოჯახის წევრებს ან მე, ან ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანებს ჩემ ირგვლივ.

– მერე?

– თავის არიდების უამრავი გზა და საშუალება არსებობს!

– ეს როგორ?

– ამას ვერ აგიხსსნით!

– რატომ?

– მაინც ვერ დაიჯერებთ.

„მე ისიც ვიცი, შეილა, რა გიკარგავს მოსვენებას საკუთარ სახლში. პირველად რომ დავრჩი, იმ ღამეს „ვნახე“ ყველაფერი, მაგრამ ვერ გეტყვი. შეშინდები და სამუშაოდანაც და-

მითხოვ. რომელი ჯობია: 1. ჩუმად დაგეხმარო და ვცხოვრობდე აქ, შენს სახლში, თუ: 2. გითხრა, არ დამიჯერო, აქედან გამიშვა და შენ კიდევ გაწვალდე? ხომ პირველი ვარიანტი ჯობია?“ – გულში უხმოდ გააგრძელა საუბარი ნანამ და დაგემოვნებით მოსვა უმაღლესი ხარისხის ჩაი უძვირფასესი ფინჯნიდან.

– წელიწადნახევარზე მეტია შენ ჩემთან ცხოვრობ. რატომ აქამდე არაფერი მითხარი? წარმომიდგენია, როგორი დაძაბული ხარ.

– თავს მარტო თქვენთან ვგრძნობ უსაფრთხოდ! ეს სახლი ჩემი ნავთსაყუდელია! – ღიმილით, ალალად უთხრა ნანამ.

– ახლა რა ხდება?

– გაჟონა ინფორმაციამ, რომ სექტემბრის ბოლოს კიდევ ერთი დამატებითი ავიარეისი იქნება.

– სად შეიძლება შენი დოკუმენტების მოძიება, მე უძლიერესი ადვოკატი მყავს ამ დარგში.

– მე მაქვს.

– მოიტანე, გადავხედავ! დეპორტის მოხსნა ძნელია, მაგრამ იმდენი მაინც არის შესაძლებელი, საქმის წარმოება შენთვის სასურველ პერიოდამდე გაიწელოს. ადვოკატს მე თვითონ გადავცემ, ხარჯებსაც მე გავიღებ. მაინც რამდენ ხანს აპირებ კიდევ დარჩენას?

– ორი წელი.

– ხვალ მოიტანე და ჰოლში მაგიდაზე დამიტოვე!

ასე დამთავრდა მათი საუბარი. მეორე საღამოს მიიტანა თავისი დოკუმენტები და შეთანხმებისამებრ მაგიდაზე დააწყო. დილას სახლიდან გასვლისას მაგიდას რომ ჩაუარა, იქ არაფერი იდო, ანუ შეილამ აიღო და შეუდგა საქმის გაცნობას.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. სექტემბრის შუა რიცხვებია. შეილა ადრე დაბრუნდა სამსახურიდან, დაუბრუნა ნანას თავისი დოკუმენტები და დასძინა, ადვოკატმა ქსეროასლები დაიტოვა და შეხვედრას ერთ კვირაში დაგინიშნავსო. შენი ინფორმაცია სწორია, დაახლოებით ერთ თვეში დანიშნულიაო სპეცრეისი.

მე შაბათს გავდივარ ქალაქიდან 4-5 დღით. ყველაფერი კარგად იქნება. თუ რამე შეიცვალა, ჩემი კოორდინატები გაქვსო.

კიდევ რამდენიმე დღემ ჩაიგრიალა. შაბათიც გათენდა, ანუ ის დღე, როცა შეილა პორტუგალიაში უნდა გაფრენილიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის დაბრუნებამდე ნანა დაჯისთან უნდა წასულიყო. სულ რაღაც 4-5 დღე. ეტყობა, ფიქრებში გართულს ჩაეძინა და სწორედ მაშინ მოვიდა ზმანება: თითქოს დაჯისთან (ანუ იქ, სადაც ბოლო ორი თვე ადგილი მოინაცვლა და სადაც ფაქტობრივად გადაბმულად 10 ღამე თუ გაითენა) ჰოლში გამოსულს ზურგსუკან კაკუნი მოესმა. შემობრუნებულს კარებს დატანებული ორნამენტებიანი პატარა შუშიდან ქერათმიანმა, ცისფერთვალება მამაკაცმა პი-

რადობის მოწმობა დაანახა: A Policeman. თან დამშვიდობების ნიშნად ხელი ღიმილით დაუქნია. მერე ამ ყველაფერს არეულობა მოჰყვა. ნანა სხვა ოთახში გავიდა, იქიდან კიდევ მომდევნო ოთახში, მერე რატომღაც მომენტალურად შემობრუნდა: მათი შენობის ქალები სახეალეწილნი ფორიაქობდნენ და ადგილს ვერ პოულობდნენ. მხოლოდ ერთი, ერთადერთი ქალი იდგა მშვიდად მათგან ზურგშექცევით. ნანამ მხარში ხელი ჩაავლო ამ არეულობაში ოლიმპიური სიმშვიდით მდგარს და შემოაბრუნა. არ გაჰკვირვებია, ისეთი ვინმე შერჩა ხელში, თანაც გაბრწყინებული თვალებით თითქოს ნიშნს უგებდა! „რაში დაგჭირდა ეს ყველაფერი?“ მხოლოდ შეკითხვის დასმაღა მოასწრო ნანამ, პასუხი ვერ მოისმინა. გვამს თვალები ბოროტად უელავდა და თითქოს რაღაც უნდა ეთქვა, რომ ამ დროს მომენტალურად მობილურმა დარეკა. ეს დაჯის ზარი იყო.

– რას შვრები, არ მოდიხარ? რაღაც სხვანაირი ხმა გაქვს! – უგუნებობა შეატყო დაჯიმ.

– არაფერი, მოვდივარ. ახალი ბინა უნდა ვიშოვოთ! – მოკლედ უპასუხა და დაახლოებით 12 საათისთვის შეილას სახლი დატოვა.

შინ მისულს დაჯი ძალიან აღელვებული დაუხვდა.

– იქნებ ახლავე წავიდეთ?

– ჯერ ვიშოვოთ. რამდენიმე დღეში გადავიდეთ!

შაბათი ჩათავდა. კვირაც დაღამდა. აი კვირა ღამე კი ნამდვილი კოშმარი იყო მათთვის.

ორშაბათს სამუშაოდან რომ დაბრუნდნენ ქალები, ერთად ივახშმეს, ისაუბრეს. ციური ადრე ავიდა თავის ოთახში. ნანას რაღაც წიგნი ჩაუვარდა ხელში და სამზარეულოში დარჩა. დაჯი, როგორც ყოველთვის, მეორე დღისთვის კერძების მომზადებას შეუდგა. კახა თავის ოთახში იყო, ინგაც. დაჯი ძალიან შეუძლოდ გრძნობდა თავს. მისი ყოველი მოძრაობა რატომღაც ამოოხვრით მთავრდებოდა.

– დაანებე თავი, დაწექი! – უკვე მერამდენედ შეუტია ნანამ.

– დაველოდები გულიკოს, ცოდოა. რომ ივახშმებს, მერე დავწვები.

– უშენოდაც მოახერხებს, ქალო, ყველაფერი მზადაა. წადი, ჩაწექი! – ვერ ფარავდა ნანა გაღიზიანებას.

ამ დროს გულიკომაც დარეკა დაჯისთან და მოიკითხა. ღამის 9 საათი იყო.

–არა, მარტო არა ვარ. მე და ნანა ვართ. კახაც აქაა. არა ვარ კარგად. ჰო, დაგელოდები და მერე დავწვები. არ ვიცი, რა მჭირს. მაკანკალებს რაღაც. კი, ციური ავიდა უკვე თავისთან. ინგაც თავისთანაა, – ესმოდა ნანას მათი საუბრის ის ნაწილი, რასაც დაჯი პასუხობდა.

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში კი დევ სამჯერ დარეკა გულიკომ.

– ჰო, აქა ვართ ყველანი. არ მოდიხარ? სადა

ხარ? შპილთან? რას აკეთებ? მალე მოდი, გელოდები, არ ვწვები! – ისევ ესმოდა ნანას დაჯის ხმა.

კიდევ ნახევარი საათი და მეტი ვერ გაძლო დაჯიმ, ლასლასით წავიდა დასაწოლად.

– გთხოვ, ჩარჯერი შემომიტანე, ნანა! სამზარეულოში დამრჩა, ვერ ვინძრევი, – მოესმა ნანას დაჯის ვედრებით სავსე ხმა საძინებელი ოთახიდან.

ნანამ შეუტანა ჩარჯერი და ჰოლში გამოსულმა ის იყო, პირი იბრუნა სამზარეულოსკენ, რომ ზურგს უკან კაკუნი მოესმა. შემობრუნებული სახტად დარჩა: კარებს დატანებული ორნამენტებიანი ფერადი შუშიდან ცისფერთვალება, ქერათმიანი, უკვე „ნაცნობი“ Policeman-ი უღიმოდა. ხელში პირადობის მოწმობა ეჭირა: Policeman-ი ვარ, კარი გააღეთ! კახა მ-ს ვეძებ“.

გაოგნდა ნანა. შებრუნდა დაჯის ოთახში და კახას სთხოვა, გაეღო კარი, თვითონ კი ისევ ჰოლის გავლით სამზარეულოში გავიდა. ესმოდა, როგორ გააღო კახამ კარი. შემოვიდნენ. კახამ დაუდასტურა, რომ ნამდვილად თვითონ იყო, შემდეგ, ეტყობა, ოთახში შეჰყვნენ, სანამ კახა გადაიცვამდა.

იჯდა და გონების თვალს მიადევნებდა ოთახში მიმდინარე მოვლენებს. კარი გაიღო, ანუ კახა გაიყვანეს. ცოტა ხანში კიდევ გაიღო კარი და ნაბიჯების ხმა გაისმა. გავიდნენ, ანუ დაჯი

გაიყვანეს. შემდეგ ციურისთან ავიდა ერთი. მარტო დაეშვა კიბეებზე. ვინ დარჩა? ინგა. გულიკო გზაშია. მე კიდევ – სამზარეულოში. აჰა, ინგას ოთახშიც შევიდნენ. ამ დროს ჰოლის კარები გაიღო და სამზარეულოსკენ ვიღაც სწრაფი ნაბიჯებით წამოვიდა. სამზარეულოს კარიც გაიღო და მაკა მშვიდად შემოვიდა.

– აქა ხარ, ნანა?

– ჰო, ჯერჯერობით!

„მაგრამ შენ აქ როგორ გაჩნდი? ვის ეძებ? რატომ გამოგატარა გარდამ ასე თავისუფლად? მაშ, ეს მართლა შენა ხარ? ამ ორი წლის წინათ აერპორტში რომ გაები, რომელიც ვითომ „შეგიბრალეს“, არ გაგადეპორტეს და პერიოდულად აკითხავ საემიგრაციოს ერთ-ერთ თანამშრომელს? რაო, გაინტერესებს, ვინმე ხომ არ გადარჩა? არ მჯეროდა, რომ ამბობდნენ, ამ ბოლო დროს ვისაც ღამე საემიგრაციოს ხალხმა სახლში მიაკითხა და აიყვანა, მაკას ნახელავიაო. არა, მჯეროდა, როგორ არ მჯეროდა, უბრალოდ იმის დაშვება არ მინდოდა, რომ ოდესმე დაჯის გაიმეტებდი. არა, დაჯი რა შუაშია! ვინც აქ ცხოვრობს, შენ ყველა ერთბაშად გაწირე!“ – ფიქრებში ებრძოდა ნანა მის წინ მდგარ გვამს. „მოდი, ერთ ცოდვასაც აგკიდებ!“ – რატომღაც თამაშის ხასიათზე დადგა ნანა.

– სახლის გვერდითა ეზოში გავალ, იქიდან სახლის უკანა ეზოში და კარები ჩაკეტე! –

მშვიდად უთხრა ნანამ და მიაჩერდა თვალებში, რომლებიც მისი ოსტატურად დამუშავებული და მორგებული უცოდველის ნიღბის ქვეშ ბოროტად ელავდა.

მან ეს ნამდვილად არ დაამადლა, პირიქით – გახარებულმა გასაღებით ჩაკეტა ორივე ეზოს კარები. შემდეგ გონების თვალი მიადევნა ნანამ: გამოცოცხლდა გვამი, გასრიალდა policeman-ისკენ და ხელების დახმარებით აუხსნა, რომ სახლს გვერდით პატარა ეზო ჰქონდა, საიდანაც გასვლა სახლის უკან, პაწაწკუნა ეზოშიც, შეიძლებოდა.

სულ რაღაც სამ წუთში policeman-მა ორივე კარი გასაღებით გააღო.

ეზოში მერხზე იჯდა, თავისთან რომ იხმო მორიგე policeman-მა და უთხრა, შეხვედრაზე გელოდებიან მნახველთა დარბაზშიო.

– ვინ არის?

– არ ვიცი, სამნი არიან. წამოდი, მიგაცილებ!

დარბაზის კარები სიმპათიურმა პოლისვუმენმა გააღო, ჩაიბარა პატიმარი და ღიმილით გაუძღვა წინ. ნანამ თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა ის შედგა. მისის ნენსი, ჯერალინი და მოია ელოდნენ და მის დანახვისას სამივეს ერთდროულად ცრემლი წასკდა.

– ხომ კარგადა ხარ? ხომ არ ნერვიულობ? რა მოხდა? ალბათ, შეცდომა იყო! ადვოკატი მოვა, შეუდგება საქმეს და ყველაფერი დალაგდება. მთავარია, იყო კარგად! – არ აცლიდნენ ერთმანეთს.

– ვიცი, ვიცი, ყველაფერი გაირკვევა და ის-

ევ ერთად ვიქნებით. თუ მომიწევს წასვლა, მაინც ერთად ვიქნებით. ხომ ძალიან გინდა ჩემი ქვეყნის ნახვა, მისის ნენსი? ჩამოხვალ, ჩამოხვალთ, მერე მე და ჩემებიც ჩამოვალთ, – ღიმილს არ იშორებს ნანა.

– ხომ გითხარი, მომ, ნანა ძლიერია და მაგრად იქნება-მეთქი! აი, ხომ ხედავ? – გაისმა მოის ხმა.

ნენსიმ ცრემლი შეიშრო: რომ არ ვიცი, შეიძლება თუ არა ჩემთვის ფრენა?

ამ ფრაზამ ყველაფერი გაფანტა. ჯერალინს და მოიას გაეცინათ.

– ექიმი მიიღებს გადაწყვეტილებას, მომ. მოიცა, მოიცა, იქნებ ნანა აქ რჩება. არ მოუნდა წასვლა საქართველოში! –კვლავ ისმის მოიას ხმა.

– რა წიგნები შემოგიგზავნო, რომ იკითხო და არაფერზე იფიქრო? – ეს ნენსია.

– ტანსაცმელი და რაღაც წვრილმანები გიყიდეთ და მოგიტანეთ. დაგჭირდება! – ეს ჯერალინია.

– ჩანთა და ზოგი რამ გადაინახეს, ესენი ჯერჯერობით არ სჭირდება და გასვლისას მივ ცემთო. თუ დაგჭირდება საბანაო კოსტუმი, უთხარი და მოატანინე! – ეს მოიაა.

– ეგ კი ნამდვილად არ დასჭირდება აქ! – მოისმა პოლისვუმენის ხმა, რომელიც, ამ ყველაფრის შემყურე, მათსავით იცრემლებოდა.

ჯერალინმა ჩანთიდან წერილები ამოიღო:

„ბავშვები ძალიან განიცდიან. აქ მათი და გრეგის წერილებია“. ჯერალინი ძალიან გულჩვილია. მას ისევ ღაპაღუპით სცვივა ცრემლი.

– მარტო რომ დარჩები, მაშინ წაიკითხე! მისის ქვილიკემ მოგიკითხა, შემოგითვალა, შენთვის ვლოცულობ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდესო, – შეეშველა ნენსი ჯერალინს.

დამშვიდობების დროც დადგა. გადაეხვივნენ ერთმანეთს. ისევ ურჩი ცრემლი... დრო ამოიწურაო, – ჩაილაპარაკა პოლისვუმენმა და მათ კარებისკენ გაუძღვა.

გარკვეული პროცედურების შემდეგ ნანა ამანათით ხელში დაბრუნდა დაჯისთან საკანში.

– რაო, რა თქვეს?

– იტირეს.

– რა მოგიტანეს?

– არ ვიცი, ვნახოთ!

დასხდნენ დაჯის საწოლზე და შეუდგნენ საჩუქრების ამოლაგებას: პულოვერი ერთი, ორი, სამი. თეთრი, ფუმფულა ნაქსოვი ჟაკეტი, თეთრი ქურთუკი, შარვალი, ტოპები, ტრუსები, პირსახოცი, სველი და მშრალი ხელსახოცები, პომადა, სახის კრემი. ყველაფერი MARKS & SPENCER-იდან! შამპუნები, აბაზანის სურნელოვანი ზეთი, თხევადი საპნები სახისთვის და ხელებისთვის L’OCCITANE - დან.

– ვინ მოგინახულა, ნანა? – მოადგნენ კარებს ცნობისმოყვარე გოგონები, შინაურულ-

ად შემოლაგდნენ და უცერემონიოდ შეუდგნენ ყველაფრის ხელახლა ამოლაგებას.

– აქაურებმა. დუბლინელებმა. ძალიან კეთილშობილი და საყვარელი ხალხია.

– ეტყობათ.

– როცა წახვალ, ეს პულოვერი მე დამიტოვე რა?

– მე – კრემი, ხო?

– მე – ტოპები.

– ყველაფერს გაჩუქებთ. ხელდამშვენებული გინახულებთ კიდევაც, გპირდებით, თუ არ გამადეპორტეს, – ძალიან გულუხვია ნანა.

გოგონები რომ გავიდნენ, ნანა ზემოთ აძვრა თავის საწოლზე. გაახსენდა თავისი პირველი ვიზიტი ამ ოჯახში. გასაუბრებაზე რომ მივიდა, კარი ჯერალინმა გაუღო და მისაღებ ოთახში შეუძღვა. ნენსი და გრეკი უკვე იქ იყვნენ. სულ რაღაც 10 წუთიანი საუბრის შემდეგ ჯერალინმა ბავშვები შემოიყვანა ოთახში. ჯაკი 15 წლის იყო მაშინ. ანა –13-ის. მაიკლი - 10-ის.

– გაიცანით ნანა! ორშაბათიდან ჩვენთან იქნება, თქვენ მოგხედავთ. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ერთმანეთის გაგებას? – მათ ერთმანეთი ღიმილით შეათვალიერეს.

– რა თქმა უნდა, – დაილაპარაკა ჯაკმა პირველმა.

– კი, – აჰყვა ანა.

მაიკლმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

– ძალიან საყვარლები არიან! – მოესმა ნანას საკუთარი ხმა.

ორშაბათს, დანიშნულ დროს რომ მივიდა, კარები ისევ ჯერალინმა გაუღო და ამჯერად სამზარეულოში შეუძღვა. ვერ მოასწრო ნანამ, იქვე მდგარ ნენსის რიგიანად მისალმებოდა, ღრენის ხმამ რომ მარჯვნივ მიახედა. რკინის გალიაში შავ-თეთრი ფერის ლეკვი იდგა დაძაბული, თვალს არ აშორებდა ნანას და ბოროტად იღრინებოდა.

– ნანა, ეს ტიპია, ჩვენი ტიპი!

ტიპი ბრაზიან თვალებს აკვარკვალებდა. ეტყობა, ჩემ შესახებ ინფორმაციას ითხოვდა.

– ტიპ, ეს არის ნანა! კარებს გაგიღებ და გამოხვალ, მაგრამ იცოდე, ნანა ჩვენია, ნუ იღრინები! – კატეგორიულობა გაისმა ჯერალინის ხმაში.

ტიპი გაიტრუნა. ჯერალინმა გალიის კარი გააღო. ტიპი კუდის ქიცინით გამოვიდა, მიუახლოვდა ნანას, ცხვირით შეეხო მის წვივებს და დაყნოსა. მერე ქვეშ-ქვეშ ამოხედა და გაუღიმა. მართლა გაუღიმა.

– კარგი გოგო ხარ! – შეაქო ტიპი ნენსიმ და შვებით ამოისუნთქა.

ამის მეტი ტიპი გალიაში ჩაკეტილი არ მინახავს. გალია მაიკლისა და მისი მეგობრების გასართობ ზონად იქცა. გავუღებდი თუ არა კარებს უმეტეს შემთხვევაში მეგობრებთან ერთად სკოლიდან დაბრუნებულ მაიკლს, ჩანთები მომენტალურად იატაკზე ცვიოდა და ტიპისთან ჭიდაობა პირდაპირ ჰოლში იმართებო-

და ხოლმე. თვალებგაბრწყინებული ტიპი და მისი მეგობრები მანამ გორაობდნენ ხალიჩაზე, სანამ სუნთქვა შეეკვრებოდათ. ეს ერთგვარი მოთელვა იყო. შემდეგ რიგრიგობით შეძვრებოდნენ ხოლმე გალიაში, შეათრევდნენ ტიპს, ჩაკეტავდნენ კარებს და ახლა იქ გრძელდებოდა ბუბნაობა, წკმუტუნითა და სიხარულ თუ ტკივილგარეულ შეძახილებთან ერთად. დაღლილობისგან გული რომ ამოუვარდებოდათ, მხოლოდ ამის მერე მთავრდებოდა ეს რიტუალი. ასე იზრდებოდა და იწრთობოდა ტიპი, ჩვენი „ინტელიგენტი“ ტიპი, როგორც მას მისის ნენსი ეძახდა ხოლმე.

საშობაოდ, სულ რაღაც ორ თვეში, ჯერალინმა აკეცა ძირითად ფუნქციადაკარგული გალია და ტიპს ლამაზი, რძიანი-ყავისფერი რბილი ლეიბსაწოლი მოართვა. როგორ მოსწონდა ტიპს თავისი საშობაო საჩუქარი! როგორ იწონებდა თავს ან როგორ იფერებდა!

ფიქრები ახმაურებულმა დერეფანმა შეაწყვეტინა. რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ყველანი სადღაც მიიჩქაროდნენ.

– ადე, დაჯი, ჩვენც გავიდეთ, რაღაც ხდება! – ჩამოსძახა ნანამ და ახალგაზრდულად ჩამოსრიალდა ზემოდან.

ხუთ წუთში შეუერთდნენ მეორე ეზოში გამავალ კარებთან შეგროვილ გოგონებს.

– აბა, რამე ახალია? – მიუახლოვდა ნანა რიგში ყველაზე ბოლოში მდგარ გოგონას.

– დღეს შოპინგის დღეა. ჩადექით რიგში, იქნებ სადილობამდე, ანუ 12.00 საათამდე, თქვენც მოგიწიოთ რიგმა, თუ არა და შემდეგ – ნასადილევს იქნებით პირველები, – არ დაზარდა პასუხს კირა, ლამაზი გოგონა.

– ვერ გავიგე, მერე ფული?

– ყოველ კვირა 20 ევროს ფარგლებში შეგ-

ვიძლია ვიშოპინგოთ მარკეტში. პატიმარს აქ მოხვედრის დღიდან ანგარიშს უხსნიან და კვირაში 20 ევროს ურიცხავენ. შეგვიძლია ეს თანხა ერთბაშად დავხარჯოთ ან მთელი კვირის განმავლობაში გამოვიზოგოთ, შეხედულებისამებრ. შოპინგი დღეგამოშვებითაა. თუ მიიჩნევთ, რომ არ გყოფნით, ცოტასაც წაიმუშავებთ! – დალაგებულად იძლეოდა კირა ინფორმაციას.

მათი რიგიც დადგა. კმაყოფილები ათვალიერებდნენ მარკეტის არჩევანს: ყავა ქილებით თუ ერთჯერადები, ნატურალური წვენი თუ ხელოვნური, შოკოლადები თუ სიგარეტები, შამპუნები თუ ჰიგიენის სხვა საშუალებები, სველი თუ მშრალი ხელსახოცები, ყველა დასახელების პარფიუმერია, თმის საღებავებიც კი. სასუსნავების სრული ასორტიმენტი.

– ერთბაშად ნუ დავხარჯავთ, ჰა, რას იტყვი?

– რა თქმა უნდა! იცოდნენ მაინც ჩვენებმა, აქ რომ არაფერი გვაკლია! – ამოიოხრა დაჯიმ.

შეიძინეს სველი ხელსახოცები, ერთჯერადი ყავები, ნატურალური წვენები, სასუსნავები თავიანთთვის, ერთი კოლოფი სიგარეტი მოწყალების გასაღებად და ნაშოპინგარი შევიდნენ ოთახში.

– ესეც ჩვენი „Great shopping therapy!“– სიცილს ვერ იკავებს ნანა. დაჯის ამ ბოლო დროს სულ ეტირება.

კარებს ფიონა მოადგა, არ ვიცოდი, სიგა-

რეტს თუ ეწეოდითო.

– არ ვეწევით, უბრალოდ ვიყიდეთ. მეგობრებს რომ შემოელევათ სიგარეტი და ყურებს ჩამოყრიან, ამ სიურპრიზით მათი განწყობა რომ ავამაღლოთო, – უთხრა ნანამ ღიმილით.

– ჰო, მართლა, ვერ შეგნიშნე მარკეტში. ხომ არ ჩაგეძინა? – მიუხვდა ვიზიტის მიზეზს ნანა.

– ფული არ მიდევს ანგარიშზე, ორი დღის წინათ ერთბაშად დავხარჯე, სიგარეტი მაკოტრებსო, – დაიჭყანა ფიონა.

– მთელი კოლოფი გაგატანო თუ რამდენიმე ღერი?

– როგორც გინდა. ისე მე მოსვლა არ მეზარება.

– ჩემი დასვენების დროს რომ არ მომადგე, ჯობია მთელი კოლოფი წაიღო! – გაუწოდა ნანამ სიგარეტი. ფიონამ დაავლო ხელი და სულ ფრთხიალ-ფრთხიალით გაფრინდა.

– მგონი ბევრი რაღაცა გვაქვს გასარკვევი, დაჯი. მარკეტის გვერდითა ეზოში შენიშნე კალათბურთის მოედანი? ეზოს ბოლოში, პირველ სართულზე სალონი მოჩანდა. რამდენიმეჯერ უნიფორმიანი გოგონები გამოვიდნენ საქმიანი იერით. ხომ გვითხრეს, ეცადეთ სუფთა ჰაერზე იყოთო. წამო, ვურტყათ წრეები ჩვენს ბაღს! ვიღაც გამოჩნდება და დავიკმაყოფილოთ ცნობისწადილი!

– ჩვენი შენობის მეორე ბოლოში იყრიან ხოლმე თავს გოგონები. იქვე, ცალკე ოთახში,

მგონი, სტილისტი ცხოვრობს. აი, იქ იქნება ინ-ფორმაციის ბუდე, – თვალები, როგორც იქნა, აუბრჭყვიალდა დაჯის.

შეაღეს თუ არა კარი, მაკიაჟის გაკეთება შეწყვიტეს და ოვაციებით შეხვდნენ „კოლეგე-ბი“.

– აბა, სტილისტი თუ ვიზაჟისტი? ვის მომ-სახურებას ინებებთ, პროფესიონალის თუ მოს-წავლის? რძიანი ყავა თუ ჩაი, „ფანტა“ თუ „კო-ლა?“ – ბოლო არ უჩანს შემოთავაზებებს.

– რძიანი ყავა. მაგრამ აქ რა ხდება? ვატყობ, ბევრი რამ არ ვიცით ჩვენ აქ! – ისმის ნანას ნაწყენი ხმა.

– რატომ არ მოდიხართ ან არ გვეკითხებით არაფერს? აბა, რა გაინტერესებთ? გიპასუ-ხებთ, – სახეში მიაჩერდა უსაყვარლესი და სიმ-პათიური სოფია. - მე ბოსი ვარ, ზონის ბოსი.

– ვიცი, ჰოდა სწორედ შენთან მაქვს პრე-ტენზია. მე, ამ ხნის ქალი, აქ რატომაც მოვ-ხვდი, იცით. ისიც იცით, რომ ეს პირველია ჩემს ცხოვრებაში. სამართლიანად მოვითხოვ, გამაცნოთ, რა ხდება აქ ან რა არ ხდება. მეც ბოსი ვარ ჩემს საქმიანობაში და, რაც მთავა-რია, აქ ვარ ბოსი ასაკში. მე უნდა ვფლობდე სიტუაციას! – თვალი თვალში გაუყარა ნანამ.

გადაეხვია სოფია. ვინც შენ გაწყენინებს ან ცუდი თვალით შემოგხედავს, კბილებით დავ-ხრავო, დაიქადნა.

ასე მოიპოვეს ზღვა ინფორმაცია:

1. ზონაში არის ქალთა სალონი, სადაც კურსებია გახსნილი. ვისაც სურვილი აქვს, ჩაეწერება და ასწავლიან სტილისტობასა და ვიზაჟისტობას, თმის შეღებვას, მანიკურებისა და პედიკურების გაკეთებას მაღალ დონეზე. ასევე კლიენტები, ანუ ჩვენ, როგორც ჩვეულებრივ სალონში, ჩავეწერებით და რიგრიგობით გავლამაზდებით. მომსახურება ფასიანია. თანხა მოიხსნება ანგარიშიდან. მოგვემსახურებიან მოსწავლეები პროფესიონალის მეთვალყურეობით.

2. კიდევ ასწავლიან ხელსაქმეს. მძივების, ყელსაბამების, სამაჯურებისა და სხვა სუვენირების გაკეთებას, ლამაზ საიუველირო კოლოფებში ჩადებასა და შეფუთვას. ეს ყველაფერი გადის საეკლესიო სავაჭრო ქსელებში და იყიდება. თანხა ირიცხება ციხის სპეცანგარიშზე. დაბადების დღეებზე ჩვენი ხელით დამზადებულ საჩუქრებს ვჩუქნით ერთმანეთსო.

3. ფუნქციონირებს ფიტნესკლუბი. გარდა ამისა, დარბაზში არის ფრენბურთისა და ბადმინტონის სათამაშო მოედნები, ტენისის მაგიდა. კალათბურთის მოედანი ეზოშია.

4. ფიტნესკლუბითა და კალათბურთის მოედნით კაცების განყოფილებაც სარგებლობსო. ოღონდ ქალები და კაცები სხვადასხვა დროს იკაჟებენ ორგანიზმსო.

5. იმაშიც გაანათლეს, თუ რას ნიშნავდა, რამდენიმეჯერ ამტყდარი განგაში, როცა

ჩვენს ოთახებში შეგვაბრუნეს და სპეცმანქანიდან კიბეები რომ აღმართეს ეზოს თავზე გადაჭიმულ ლითონის ბადურაზე შემოგდებული ფორთოხლისა და ვაშლის დასანაწევრებლად და ბადურიდან ნაწილ-ნაწილ გამოსაძვრენად. ეს თურმე ბოიფრენდების მიერ „გადმოფრენილი“ საჩუქრები იყო. ვინიცობაა და ადრესატამდე მიეღწია ნარკოტიკს. (საიდან? როგორ? რანაირად? ახრჩობდათ უფრო მეტის შეტყობის სურვილი, მაგრამ დეტალების გარკვევა შემდეგისთვის გადადეს).

6. არის მშვენიერი ბიბლიოთეკა, საინტერესო წიგნებით.

– ახლა, თუ გინდა, თმას აქ დაგვარცხნიან გოგონები. მე სალონში ჩაგწერ, იმ კვირაში ვმუშაობ და თმას შეგისწორებ და შეგიღებავ ჩემი ანგარიშითო, – ღიმილით მორჩა სოფია ჩვენი განათლების საკითხებს.

ერთ რამედ ღირდა ჩვენი ვიზიტი ფიტნესკლუბში. ჯერ გვერდზე მივდექით. ფიტნესში მაგრები არიან გოგონები. ფრენბურთში – არა უშავთ. ბადმინტონი და ტენისი არ გამოსდით. ბადმინტონში გამარჯვებულს დაჯი შეეჭიდა. ტენისში გამარჯვებულს – მე. ძალიან არ უნდოდათ ჩვენთან თამაში, მაგრამ ისეთი კლასი ვუჩვენეთ, რიგი დადგა. როგორ პატარებივით გვიხაროდა! რა ვარბენინეთ!

შემობრუნებულს ციხის თანამშრომელმა მოგვაკითხა, ორივეს ნახევარ საათში შეხვედ-

რაზე გაგიყვანთო.

დაჯის ქეითი, მისი ერთ-ერთი საყვარელი ოჯახის დიასახლისი, ესტუმრა, მე – ნანა ჟორ-დანია.

ძალიან საყვარელი გოგოა ნანა. ერთი სირ-ჩა ვისკი დავლიე, ამ ყველაფერს ისე განვიცდი, შენთან შეხვედრა სხვანაირად არ შემეძლოო. ხან ვიცინეთ, ხან ღობეყორეს მოვედეთ. რაც მთავარია, არ გვიტირია.

ნანა ქუთაისელია, პროფესიით ვეტექიმი. ჩვენი ნაცნობობა 2008 წელს შედგა მოსნში, სადაც ორივენი განაწილებით მოვხვდით. 2011 წლის იანვარში უკვე ირლანდიაში ცხოვრების ოფიციალური უფლება მიიღო ნანამ და შეუდ-გა ენის საფუძვლიან შესწავლას, რომ თავისი პროფესიით შეძლოს მუშაობა.

ქეითი შეპირდა დაჯის, დაგიზუსტებთ, რო-დის იქნება სპეცრეისი და კიდევ რაღაცრაღა-ცებსო. ხვალ ისევ გინახულებთო.

ემოციური და დატვირთული დღე იყო და ორივენი თავიანთ საკანში შეიყუჟნენ.

ფიქრები ისევ ჯერალინის ოჯახს გადასწვდა.

„აგვისტოს 5 დღით“ ცნობილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მოაგონდა.

მაშინ ჯერალინის მთელი ოჯახი ერთი თვით კონომარაში იყო წასული დასასვენებლად. ნანას შესთავაზეს, სანამ დაბრუნდებოდნენ, თუ სურვილი ექნებოდა, მარტოს ეცხოვრა მათს სახლში, რასაც სიამოვნებით დასთანხმდა. როგორც კი ბიბისიმ რუსეთის მიერ საქართველოში ომის დაწყების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, ჯერალინმა იმ წუთში დარეკა და ნანას ოჯახის წევრები მოიკითხა. დღეში რამდენჯერმე რეკავდა და ამხნევებდა, ვნახოთ, რა ხდება და რამე მოვიფიქროთო, ამშვიდებდა. საბედნიეროდ, ამ ომმა მხოლოდ 5 დღეს გასტანა.

მიილია ერთი თვე. დაბრუნდნენ კონომარი-

დან. მეორე დღეს ჩვეულებრივ რომ მივიდა, მაიკლი, მორიდებული მაიკლი, გადაეხვია და ყველანი მოიკითხა საქართველოში.

– ნანა, შენ ხომ ძალიან გიყვარს ვაშლის პეროგი?

– კი. რატომ, მაიკლ?

– შენი საყვარელი პეროგი ვიყიდეთ. ახლა გავათბობ და ერთად მივუცუცქდეთ. ყავას დალევ თუ ჩაის?

– ჩაის. ახლავე გავამზადებ!

– არა, მე თვითონ, მე მოგემსახურები, შენ დაჯექი! – არ დათმო მაიკლმა. მერე მაგიდას რომ მიუსხდნენ, ხომ კარგად არიან თქვენებიო. ალბათ, ბევრი ინერვიულეო. ჩვენ ყველანი დაძაბულნი ვიყავით და თვალს ვადევნებდით ინფორმაციებსო. ყველაფერი კარგად იქნებაო. გაოცებული უსმენდა ნანა მაიკლს. თორმეტი წლის გახდა მაიკლი აგვისტოში.

– ამ ერთ თვეში როგორ გაიზარდე, მაიკლ! ყოველთვის ასე არ იქნება. ოდესმე შენც ეწვევი საქართველოს, ასე რომ გულშემატკივრობო, – შეძლებისდაგვარად მიეფერა ნანა.

ნენსიმ ირლანდიური, ხელით ნამუშევარი ფინჯანი ჩამოუტანა მაშინ კონომარიდან, ვიცი სამახსოვრო რაღაცებს აგროვებ და შენს „Little Ireland“-ს ესეც დაამატეო.

ტიპი ყოველთვის შეფერთხილი ბრუნდებოდა ხოლმე კონომარიდან. აქტიურ დასვენებას იხდენს ქალბატონი!

ტიპის სუფთა ჰაერზე გასეირნება ხომ საერთოდ ერთგვარი რიტუალია. აი, ასეთი: საუზმის შემდეგ ტიპი კარებთან გველოდებოდა ხოლმე და მზად იყო, კარებში პირველი გასულიყო. ჩვენი პირველი ერთობლივი გასეირნების დროს ასე დაწესდა: ტიპისთვის ყელსაბამი არ გვეკადრებინა. როგორ ახსოვს, საუბარში იყვნენ გართულნი, ყელსაბამს რომ მოავლო ხელი და ნენსიმ გაკვირვებულმა ნაწყენი თვალებით შეხედა, ტიპს ხომ არ უნდა გაუკეთო, ხომ იცი, როგორი ინტელიგენტია, ეს არ სჭირდებაო. უცებ რამე რომ შეეშალოს და ამოდენა ძაღლის უყელსაბამოდ გაყვანა გვისაყვედურონ-მეთქი? ჩვენ გვერდით ვიქნებით, ყელსაბამი ხელში გეჭირება. თანაც ტიპს ყველა იცნობს უბანშიო, –თქვა ნენსიმ და ეს წესი იმ წუთიდან შევიდა ძალაში. ხოლო ტიპმა თავი მაღლა ასწია, მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა და როგორც ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, გამარჯვებული იერით, მძიმე ნაბიჯებით, ღიმილით გავიდა ჰოლიდან.

არა, ტიპი თანამოძმეთაგან გამორჩეულია. ერთხელ, ერთ-ერთი ასეთი გასეირნების დროს, ნენსიმ მითხრა, მოდი მოსახვევში შევჩერდეთ, თვალს რომ მივეფარებით, ნეტა ტიპი თუ მოგვისაკლისებსო. მართლაც, ათამდე დათვლაც ვერ მოვასწარით, აქოშინებული ტიპი გამოჩნდა მოსახვევში. შეშფოთებული ჩანდა, სად დავკარგე ეს ქალებიო.

ერთხელაც მოხდა ისე, რომ ნენსიმ გადაწყვიტა მთელი თვით არ წასულიყო კონომარაში დასასვენებლად, მხოლოდ ბოლო კვირას შეერთებოდა ოჯახს. ნენსისთან, რა თქმა უნდა, ის სამი კვირა მე უნდა მეცხოვრა. დღის ბოლოა და საღამოს მივედი. ის დროა, როცა ნენსი უკვე ფეხზე უნდა ყოფილიყო, ანუ დასვენების შემდეგ პირველ სართულზე მეგულებოდა. გავაღე კარები, ჰოლიდან გავედი სამზარეულოში. ნენსის ბუხართან მდგარ ტახტთან მიეჩოჩებინა პატარა მაგიდა, ორი ფუჟერი წითელი ღვინო შემოედგა ზედ, იქვე თეფშზე სამი ნაჭერი სულუგუნის ყველი იდო, რითაც მოია გვანებივრებდა ხოლმე, და მელოდა. მოვიკითხე, ჩამოვჯექი ტახტაზე და კიბეებზე შლიგინით დაეშვა ტიპი. შემოვარდა სამზარეულოში. „Hello, Tip!“ – მივესალმე მე. გახარებული ტიპი მომიახლოვდა, წინა თათები მუხლებზე დამაწყო და ლოყა ამილოკა, ანუ მაკოცა. შემდეგ შეხედა ნენსის, ჩამოიღო თათები, ჩადგა ჩვენ შუა, მარცხენა თათი მე დამადო მუხლზე, მარჯვენა თათი ნენსის მუხლზე შემოდო და ახლა მას აკოცა, ანუ აულოკა ლოყა და ისევ მე მომწვდა.

– ოუ, ტიპ, შენ რა, ნანა უფრო გიყვარს?! მე ახლა ვიეჭვიანებ! – გაუნაწყენდა ნენსი. ტიპმა მეორე თათიც დაადო ნენსის მუხლზე და თვალებში მიაჩერდა, თითქოს საყვედურობდა, რა გინდა, ნენსი, შენ უფრო მიყვარხარ, მაგრამ

ნანაც მიყვარს. გამიხარდა, ჩვენთან რომ რჩება, კიდევ რომ შემოგიტიოს გულმა, ჩემზე მეტად ხომ ეგ გიშველისო.

– ხო, კარგი, კარგი, შე გრძელცხვირავ, შენა, წადი ახლა, გვაცალე ლაპარაკიო, – მსუბუქად შეუწყრა ნენსი.

სულ სხვა დამოკიდებულება აქვთ ჯერალინსა და ტიპს. ჯერალინი თითქოს ტიპის ფიქრებსაც კი კითხულობს.

განა მარტო ტიპის მიმართ არის ჯერალინი ასე განწყობილი. ცხოველებსა და ფრინველებზე ზრუნვა მისი ცხოვრების წესია. მიილევა თუ არა ზაფხული, ტომრებით მოზიდავს ხოლმე დარჩეულ მზესუმზირებს და ფრინველთა ნაირ-ნაირ საკვებს, დაგუნდავებულს და პატარა მუშტისტოლა ბადურებში ჩადებულს, რომელთაც ხეებისა და ბუჩქების ტოტებზე ჩამოკიდებაღა სჭირდებათ. ასე რომ გალაღებულნი არიან ჩვენი ეზოს სტუმარი თუ მასპინძელი ჩიტუნები მთელი წელიწადი „სურსათ-სანოვაგით“. რამდენჯერ შემინიშნავს, ჩვენს სახლთან ახლოს მდებარე ვაჟთა კოლეჯის ცამდე აზიდული ხეების ბინადარი ციყვები და თახვები უსწრაფესად რომ ახრამუნებდნენ ხოლმე ჩვენი ეზოს ფრინველთა „სარჩო-საბადებელს“ და გამალებით მიაცაფცაფებდნენ კიდევაც ჩიტუნების გნიასის ფონზე, ნუ გამოგვილევთ, ეს ჯერალინმა ჩვენთვის იყიდაო. გამორჩეულად საყვარელია ერთი გულწითელა ბეღუ-

რა. ეზოში გასულს თვალს მომკრავდა თუ არა, გამოძვრებოდა ბუჩქებიდან და რაღაცას მეჟღურტულებოდა ხოლმე. ერთხელ გაწიწმატებული აჟღურტულდა ჩემს დანახვაზე.

– ხო, აბა, როგორ მივხვდე რა გინდა, ჰა? იქნებ შემოგელიათ სასუსნავები? – ვკითხე ხუმრობით. გაიტრუნა ბეღურა და თავისი კვარკვალა შავი თვალებით მომაჩერდა. შევათვალიერე ბადურები. ორი ცალი დაცლილი ბადურა საცოდავად ქანაობდა ბუჩქზე.

– არ ჩამორჩე ჯერალინს და ახლა შენ დამიწყე როგორმე უბნის ფრინველებზე ზრუნვა! – დავტუქსე გულწითელა ბეღურა-ჯერალინი და ჰაეროვნად ჩამოვაკონწიალე ახალი ბადურები ტოტებზე.

გახარებული ბეღურა ხტუნვა-ხტუნვით შეძვრა ბუჩქებში.

ერთხელაც, ზაფხულში, ჯერალინმა სიცილით შემოაღო კარი. რომ იცოდეთ, რა მოხდაო, დაილაპარაკა და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა უკანა ეზოში. მესმის მისი ხმა, ვიღაცას ელაპარაკება, აჰა მოვედი, რა გინდოდა, რატომ არ გამაჩერეო. თურმე ჯერალინმა მანქანა რომ მოაყენა სახლთან, თავის ჭიშკართან მდგომ გვერდითა მეზობელს, მისის ქვილიკეს, უთქვამს, ერთ-ერთი ქალიშვილი მეწვია შვილებიანადო. ჯერალინი მათს მოსანახულებლად შესულა. ყველანი უკანა ეზოში ყოფილან და ჯერალინიც მათთან გასულა. ვინ აცალა და-

ლაპარაკება! ჩვენი ბეღურა-ჯერალინი საიდან გაჩნდა იქ ასე სწრაფად, ვინ იცის! შეიძლება ჯერალინის ხმას გაჰყვა. დაასკუპდა თურმე ხელზე და გაწიწმატებულმა ჩხუბი აუტეხა. წამო ჩქარა სახლშიო, ალბათ. ან აქაურ ფრინველებს თავისმა პატრონმა მიხედოსო. ვინ იცის, რა ხდებოდა მის პაწაწინა თავში, ასე რამ ააფორიაქა! შემოეხვივნენ თურმე პატარები. ის კიდევ თავხედურად ახლოსაც არ იკარებდა იმათ, თავი დამანებეთ, ჩემი საქმის მე ვიციო.

ჯერალინს უთქვამს, ეს ჩემი ეზოს ბინადარი ბეღურაა და, ალბათ, ეჭვიანობსო. წამოსვლა რომ დაუპირებია, მხოლოდ მაშინ დამშვიდებულა ბეღურა-ჯერალინი და გადმოფრენილა ჩვენს ეზოში.

საერთოდ ნენსის ჯალაბობა, ორივე ქალიშვილი: ჯერალინი და მოია, შვილიშვილები: ჯაკი, ანა, მაიკლი – ყველანი ძალიან კეთილშობილები არიან. სითბოთი და სიკეთით სავსენი. არა თუ ბოროტების ჩადენა, ცუდს უბრალოდაც არ გაივლებენ გულში ცოცხალი არსების მიმართ. ჯერალინსა და მოიას – ორივეს ღირსეული ოჯახები აქვთ. მეუღლეების სახით კი უბადლო და შესაშური მეგობრები ჰყავთ. ჯერალინის გრეგი რაფინირებული პიროვნებაა, რომლის მსგავსს იშვიათად თუ შეხვდები ადამიანი. მოიას მაიკლი ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი, ნებისმიერი პრობლემის გაფანტვისა და მოგვარების დიდოსტატია.

– არის მომენტები, როცა უძლურნი ვართ, ვმართოთ ჩვენი ცხოვრების რაღაც დეტალები, გულს ნუ გაიტეხო, – მომწერა გრეგმა წერილში, რომელიც ჯერალინმა ციხეში ჩვენი შეხვედრისას გადმომცა.

დუბლინში თავისი უმცროსი დის, დიანას, სამი რუსთაველი მეგობრის იმედად ჩავიდა, ყოფითი პრობლემებით დახუნძლული. ვერ იტყვი, რომ ცუდად უმასპინძლეს. ელოდნენ. მიიღეს. სუფრა გაუშალეს. დროებითი თავშესაფარი და სამუშაოც შესთავაზეს უკეთესის გამოჩენამდე. პროტოკოლით ხომ არაა გათვლილიო, იფიქრებდი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ჩაკლა შეგრძნება, რომ მათ ურთიერთობებში ყველაფერი ვერ იყო რიგზე და ჰა, სადაცაა რაღაც წლობით დაგროვილი და შენიღბული იფეთქებდა. ასეც მოხდა სულ რაღაც ერთ კვირაში. ძალიან არ სიამოვნებდა, მაგრამ ძალაუნებურად მოწმე გახდა, როგორ მოითხოვდა, დავუშვათ, ერთი მათგანი მეორისგან უფრო მეტ მზრუნველობას, ყურადღებას, თანადგომას. როგორ გულწრფელად და სამართლიანად უკვირდა მეორე მხარეს, შესაძლებლობების

მაქსიმუმი ამოვწურე, თანადგომისა და სიკეთის ზღვაში შენს ფეხზე წამოსაყენებლად აუთვისებელი ერთი ფორმაც არ დამრჩენია, მაინც ვერ ვხვდები, რა ხდებაო და ასე შემდეგ.

არასდროს უყვარდა სხვის ურთიერთობებში ჩარევა. არც ამჯერად ჩარეულა. სამწუხაროდ, როცა აზრი ჰკითხეს, ვერ უღალატა ჩვევას და ძალიან მსუბუქად ორივე მხარეს ცალ-ცალკე მხოლოდ სიმართლე უთხრა.

პირველს ჩამოუთვალა, რაში ცდებოდა, რა ნაწილში ტყუოდა და სად არ იყო მართალი.

მეორეს ფრთხილად შეაპარა: ეტყობა, არა გაქვს გამოცდილება, ამდენი სიკეთე ერთბაშად რომ არ უნდა გააკეთო. დოზირებულად აჯობებდა, მტრობაში არ გადაიზრდებოდაო.

არ შეეძლო უფრო მეტი ეთქვა და წყენა გამოეწვია. ვერდიქტი მას არ ეხებოდა. მას მხოლოდ უნდა გაეფანტა მათ შორის არაფრის გულისთვის წამოჭრილი უსიამოვნებები.

„შური არს წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა“, – რატომღაც გაუცნობიერებლად აეკვიატა სულხან-საბა და კარგა ხანს თავიდან ვერ მოიშორა.

სამივე მეგობარს შორის ხიდი საბოლოოდ მაინც ჩატყდა.

არც ის გამოჰპარვია, რომ მესამეს მართლა არ შეეძლო(?), მეგობრებს შორის დაძაბული სიტუაცია განემუხტა.

ისევ გამოგვიძახეს შეხვედრაზე ორივენი. დაჯი საემიგრაციოს წარმომადგენელს უნდა შეხვედროდა, მე – ადვოკატ კონორს. პირველი დაჯი წავიდა. გაუხანგრძლივდა ვიზიტი. რომ დაბრუნდა, ცოტა ნირწამხდარი იყო. განუმარტავთ, იმ მუხლის თანახმად, რომელიც უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ თქვენ მიერ წარდგენილი დოკუმენტების განხილვისას სასამართლო პროცესზე დააკვალიფიცირა, თურმე უარი გეთქვათ თავშესაფარზე და ქვეყნიდან გაძევება შეგეფარდათო. მას შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში შეგეძლოთ, სარჩელი აღგეძრათ. რაკი თქვენ ამას თავი აარიდეთ და ბოლო ორი წლის განმავლობაში არალეგალური ცხოვრება არჩიეთ, ახლა შესაბამისი პროცედურების შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, სპეცავიარეისით მოგვიწევს თქვენი გადეპორტებაო. დაგეხმარებით, კონტაქტე-

ბი დაამყაროთ თქვენს აქაურ მეგობრებთან, შეაგროვონ და გაამზადონ თქვენი ბარგი, რომ ჩვენ საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად მოგაწოდოთ აეროპორტშიო. ზუსტი თარიღი უცნობიაო.

ამის შემდეგ, სულ რაღაც ორ საათში, შევხვდი ცნობილ ადვოკატ კონორს, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმითა თუ ჯადოსნური ხრიკებით ახერხებდა თავშესაფრის მაძიებელთა ჩახლართული საქმეების მოწესრიგებას, გადეპორტებულების ტრაპიდან მოხსნას, ჩვენს მდგომარეობაში მყოფთა ოთხი კედლიდან გამოძვრენასა და გარკვეული პროცედურების შემდეგ ქვეყანაში თავშესაფრის მიღების თაობაზე ნებართვის აფრიალებასაც კი.

აი ასეთი პიროვნება გახლდათ ბატონი კონორი. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონორამდე სამი ადვოკატი მუშაობდა ჩემს საქმეზე სხადასხვა ეტაპზე, ანუ მალული ცხოვრების ბრალდება გამორიცხული იყო, მაინც არსებობდა რაღაც შანსი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

– მე ვიცი, რომ თქვენ აქ, დუბლინში, გყავთ ირლანდიელი პარტნიორი! – ეს იყო პირველი ფრაზა, რაც მოსალმების შემდეგ თქვა ადვოკატმა.

– რას ამბობთ! არა, მე პარტნიორი არა მყავს, არ გაქვთ სწორი ინფორმაცია! – აღშფოთება ვერ დავფარე მე.

თვალი გამისწორა კონორმა, გაოცებულმა მიყურა. ფიქრებიდან რომ გამოერკვა, ტრადიციული კითხვები დამისვა: რატომ ვცხოვრობდი არალეგალურად? რატომ? რატომ...? და ა.შ.

ავუხსენი, ჩემს საქმეზე მესამე საფეხურიდან ჩემი სურვილით დედაქალაქის ერთ-ერთმა გამოცდილმა ადვოკატმა დაიწყო მუშაობა, ვისთანაც ბრმად არ მოვხვედრილვარ-მეთქი. და დაუკითხავად, ჩემს უნებართვოდ, თითქოს ვიღაცამ მეხსიერების დისკი სწორედ ამ მომენტიდან ჩართო.

პირველი შეხვედრის შემდეგ დამატებითი დოკუმენტები მოითხოვა და მომდევნო შეხვედრაზე ვაახლე ადვოკატს. მის შემდგომ კონტაქტზე არ გამოდიოდა, ხოლო კომპანიის მდივანი ქალბატონი, პერიოდულად რომ შევეხმიანებოდი ხოლმე, მპასუხობდა, ადვოკატი როცა საჭიროდ მიიჩნევს, თვითონ დაგიკავშირდებათო. ასე გავიდა 10 თვე და 2010 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში, როცა ყველა ქართველს, მათ შორის მეც, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის თხოვნის თუ მოთხოვნის საფუძველზე ერთდროულად კამფეტებივით ჩამოგვირიგდა დეპორტის ორდერი, მდივან ქალბატონს კატეგორიულად მოვსთხოვე, მოეგვარებინა ჩემი და ადვოკატის შეხვედრის საკითხი. ამის შემდეგ, სულ რაღაც ერთ კვირაში, შევხვდი ადვოკატს. მოიბოდიშა, დრო რომ ასე

გაეწელა, სინანული გამოთქვა იმის თაობაზე, რამაც დეპორტის ორდერი განაპირობა და გადმოალაგა ჩემი დოკუმენტები. ახლა შევუდგები თქვენს საქმესო და გაშალა ფოლდერი. ამოაცალკევა მისი მოთხოვნით ჩემ მიერ წარდგენილი დოკუმენტები ქართულ ენაზე. თარჯიმანმა რომ თარგმანზე იმუშაოს, პირველადი თანხა უნდა გადაიხადოო. მე შეურაცხყოფილი ვიჯექი. „ახლა უნდა დაიწყოს მუშაობა! ახლა! ახლა! ახლა!“ – მიხათქუნებდა ჩაქუჩს ვიღაც საფეთქლებში.

სწრაფად მოვეგე გონს. დროში რომ მოვიგოთ, მე თვითონ წავიღებ თარჯიმანთან და ყველაფერს მე თვითონ გაახლებთ-მეთქი. დამთანხმდა და ყველაფერი უკლებლივ წამოვიღე.

შემდეგ მე გამიგრძელდა იმაზე ფიქრი, რა ჯობდა და როგორ ჯობდა. ამასობაში ვცხადდებოდი საემიგრაციოში და ხელს ვაწერდი დოკუმენტს, რითაც ვადასტურებდი, რომ ჯერჯერობით ისევ აქ, დუბლინში, ჰაჩჰოლში ვცხოვრობდი და ამ ქვეყნიდან გასული არ ვიყავი. და ერთხელაც, სამუშაოდან ჰაჩჰოლში დაბრუნებულს, ვახშმის შემდეგ ძალიან მომინდა დამესვენა, მაგრამ რატომღაც (გაუცნობიერებლად) ვერ ავიტანე იქაურობა, მობილური გავთიშე და ფლორასთან წავედი. ფლორა იქვე ახლოს ცხოვრობდა და მსგავს (გაუცნობიერებელ) სიტაუაციებში თავს ვაფარებდი ხოლმე. დილის 5 საათზე კი, შეწუხებული მატყობი-

ნებს ლალი, ჩემი რუმეითი მეგობარი, წუხელ საემიგრაციოს პოლიცია დამადგა თავზე, შენ გკითხულობდნენ, მგონი, დღეს პირველი სპეცავიარეისი ხორციელდებაო. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა! ამას არავინ ელოდა. ამ დალოცვილ ქვეყანაში წლობით ცხოვრობს დეპორტის ორდერიანი ხალხი. მათ არავინ დაეძებს, არც დამალულად ცხოვრებას აიძულებენ, თუ, რა თქმა უნდა, კრიმინალი არ ჩაუდენია ან საერთაშორისო ძებნა არ არის მასზე გამოცხადებული.

ჰო, წინა დღეს ჩემი ადვოკატის კომპანიიდან ოფიციალური წერილი მივიღე, დროზე წარმედგინა დოკუმენტები და იქვე მითითებული თანხა (12 000 ევრომდე), მათ მიერ წარმოებული საქმის საფასური, გადამეხადა. დღის მეორე ნახევარში კი კომპანიის მდივანი ქალბატონი შემეხმიანა, როდის დაგინიშნო შეხვედრაო.

მივიღე გადაწყვეტილება, ეს საქმე ძლიერი და კვალიფიციური ადვოკატისთვის მიმენდო. ამ საქმეში ნენსიზე უკეთ ვინ დამეხმარებოდა? მივედი, დაუფარავად ვუამბე ყველაფერი. ნენსი მაშინვე გრეგს დაუკავშირდა. გაოცდა გრეგი, ამდენი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს და ნუთუ არ შეიძლებოდა, ცოტა ადრე მაინც ვყოფილიყავი საქმის კურსშიო. მიუხედავად ამისა, ზუსტად ორ საათში უკვე დედაქალაქის (და არა მარტო დედაქალაქის) უჭკვიანესი და სამართლიანი, ძვირადღირებული ადვოკატის

კაბინეტში ვიჯექი. ჯერ სიტყვიერად მოვახსენე, რა გამჭირვებოდა და შემდეგ ჩემი ფოლდერი მაგიდაზე დავუდე.

გადაათვალიერა დოკუმენტები, კონვერტებიც კი შეათვალიერა.

– ანუ პარალელურად სხვა ადვოკატიც გყავთ? – მკითხა შემცბარმა.

– მყავდა, – ვუპასუხე მე და მოკლედ ვუამბე. ვხედავდი ბრაზი ერეოდა, მაგრამ უკან დახევაც არ შეიძლებოდა და კონვერტიდან ფურცლები ამოვაცურე.

–იქნებ თანხაზე იყო მოლაპარაკება თქვენ შორის? – არ სჯეროდა მას.

– არა! ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე, მე პირველსავე შეხვედრაზე დავუსვი შეკითხვა, მისი შრომის ანაზღაურება რის ფარგლებში იყო შესაძლებელი. ამაზე მერე ვილაპარაკოთო, ხოლო ეს „მერე“ აქამდე უსასრულობაში მოექცა! – იყო ჩემი პასუხი.

– თუ ნებას დამრთავთ, დავრეკავ ამ კომპანიაში! – თქვა ბატონმა ადვოკატმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

– როგორც საჭიროდ მიიჩნევთ! – თვალები გავუსწორე მის მზერას.

მართლაც მან დარეკა კომპანიის მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში მითითებულ ერთ-ერთ საკონტაქტო ნომერზე.

შედგა ასეთი პატარა დიალოგი:

– გამარჯობა. კოლეგა გაწუხებთ ერთი ქარ-

თველი მოქალაქის თაობაზე (პირადი ნომერი ...). მის საქმეებზე თქვენი კომპანია მუშაობს?

– დიახ! – იქნებოდა სავარაუდო პასუხი გადამოწმების შემდეგ მეორე მხრიდან.

– ეს მოქალაქე ახლა ჩემს კაბინეტში ზის. x კომპანიიდან გახლავართ. ჩემს მაგიდაზე აწყვია მისი დოკუმენტების ასლი და თქვენი ოფიციალური შეტყობინების დედანი გარკვეული თანხის (12 000 ევროს) გადახდის თაობაზე თქვენს ადვოკატთან ორი ვიზიტის, ქსეროასლების გადაღებისა და დახარჯული ფურცლების საფასურად. როდემდე აპირებთ ასე მუშაობას? ნუთუ არ უნდა დამთავრდეს? – აღშფოთებას ვერ ფარავდა აქეთა მხარე.

– ეტყობა, რაღაც გაუგებრობა მოხდა. გავარკვევთ და დაგიკავშირდებით. – ეს მეორე მხარე იყო.

– როგორი გაუგებრობაც არ უნდა იყოს, მითითებულ სერვისში დიდი-დიდი 200-250 ევრო გადაახდევინო ადამიანს. რა გჭირთ? ამ საკითხზე სხვა ვითარებაში შევხვდებით ერთმანეთს. ბოლო უნდა მოეღოს ამ ყველაფერს! ასე გაგრძელება არ შეიძლება! – ისე ბობოქრობდა ბატონი ადვოკატი, ძნელი არ იყო დასკვნის გაკეთება, რომ არაკეთილსინდისიერ კომპანიიში მოვხვდი და მე პირველი არ ვიყავი.

– ჩვენ რას ვაკეთებთ? – ვცადე მისი ფიქრების და დაძაბულობის გაფანტვა, როცა მობილური გათიშა.

– შევუდგები საქმეზე მუშაობას. რაკი ამ შემთხვევაში ინიციატივა თქვენი ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის და ბევრი რამე ჯერჯერობით ბოლომდე გაურკვევლია ჩვენთვის, აქედან გამომდინარე, არის წვრილმანები, რომელთა გათვლა შეუძლებელია. თვითონ გადაწყვიტე ერთი რამ: მე ვიწყებ მუშაობას, მხოლოდ ერთი პირობით! თქვენ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, ლეგალურად უნდა ცხოვრობდეთ, ანუ უნდა დავაფიქსირო თქვენი საცხოვრებელი მისამართი, რეგულარულად მოგიწევთ საემიგრაციოში გამოცხადება და თქვენი პიროვნების დადასტურება.

– არ არის ძნელი, ასეც მოვიქცევი!

– მოითმინეთ, ძნელი ნამდვილად არ არის! უბრალოდ რისკთან არის დაკავშირებული. არის ალბათობა იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, საემიგრაციოში მისული, შეიძლება უცებ დეპორტში მოჰყვეთ. შეიძლება საერთოდ არაფერი მოხდეს, მაგრამ ამის გათვლა ცოტა რთულია. დაფიქრდით, ჩამოყალიბდით და გადაწყვიტეთ. ნუ აჩქარდებით!

ქვეტექსტის გაშიფრვა არ გამჭირვებია. ანუ ამ ქვეყანაში, ვთქვათ, თუ 10 ინტელიგენტის გვერდით ერთი არაინტელიგენტი მაინც ცხოვრობს, 100 სამართლიანის გვერდით-თუნდაც ორი უსამართლო, 1000 კეთილის გვერდით - თუნდაც ერთი ბოროტი, 10 000 – ის სურვილი თუ მის ნებას ემორჩილება და ვიღაც ერთს ნე-

ბა ღალატობს, საჭიროა სიფრთხილე!

– თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით? – მხოლოდ ეს შეკითხვა გავაჟღერე.

– ო, მე დიდი გამოცდილება მაქვს ამ დარგში. დავიცდიდი, დაველოდებოდი, რა როგორ განვითარდებოდა და მერე მივიღებდი გადაწყვეტილებას! – სიცილით მიპასუხა მან.

– მეც იმავეს ვაპირებ! – მივაჩერდი თვალებში მე.

მეორე დღეს საემიგრაციოში გამოცხადებული ქართველები აიყვანეს.

მომდევნო ვიზიტზე ბატონ ადვოკატს განვუცხადე, რომ საემიგრაციოში ყოველ გამოცხადებაზე მიღებული სტრესისთვის ჯერ-ჯერობით ჯობდა თავი ამერიდებინა და დავემშვიდობე.

სულ ახლახან, რაღაც ათი დღის წინათ, შეილას ინიციატივით მესამე, ახალი ადვოკატი, გაეცნო ჩემს საქმეებს და მუშაობას მომდევნო კვირაში ჩემთან შეხვედრის შემდეგ შეუდგებოდა.

ეს ყველაფერი მხოლოდ იმას ემსახურებოდა, რომ ამდაგვარი „ლეგალური ყოფნა“ დროში გაწელილიყო, ანუ პასუხის მოლიდინის რეჟიმში მეცხოვრა. დროებით, მხოლოდ დროებით. ამასობაში ვიმუშავებდი, შვილებს ხელს შევაშველებდი, პარალელურად კი ჩემს პროექტს – „Little Ireland“ ბოლომდე მივიყვანდი. თორემ ფიქრშიც კი არ დამიშვია წამით, ჩემი

ქვეყანა „სხვისი ქვეყნის სამოთხეზედ“ გამეცვალა.

ახლა ჩემ წინ ადვოკატი კონორი იჯდა და პასუხს ელოდა.

ერთხელ, ძალიან დიდი ხნის წინათ, შუა ზაფხულში, არდადეგების დროს, მე და ჩემი დები ჩვენს სოფელში, ნაქალაქევში, მეზობლის გოგონებთან ერთად მდინარე ტეხურზე წავედით საბანაოდ. საუკუნეების განმავლობაში ძველი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს (დასავლეთ საქართველო) დედაქალაქი ციხე-გოჯარქეოპოლისის ნაქალაქარი, დიდი ისტორიული წარსულის მქონე, დღევანდელი ნაქალაქევი მდებარეობს სენაკის რაიონში. მდინარე ტეხური, რომელიც ნაქალაქარს სამი მხრიდან უვლის გარს, რასაც, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში არქეოპოლისის არსებობისთვის უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონია, თავისი ულამაზესი ლანდშაფტითა და საბანაო ადგილებით გამორჩეულია.

ერთმა მათგანმა, ემიკომ, შორს შესცურა და ვხედავთ, იხრჩობა. მე ყველაზე სწრაფად გადავეშვი მდინარეში. ახლოს რომ მივცურდი, ემიკომ ინსტინქტურად მომქაჩა მკლავზე და მოხდა ისე, რომ მე მის ადგილზე აღმოვჩნდი, მან კი თავი გაითავისუფლა და ნაპირისკენ გასცურა. ჩვენ არცერთმა არ ვიცოდით, სწორედ იმ ადგილზე წყალი რომ წრიულად ბრუ-

ნავდა და ძალიან გამოცდილი უნდა ყოფილიყავი, მორევს არ ჩაეთრიე და თავი გამოგეღწია. გონება გამალებით მუშაობდა და ყოველი ამოყვინთვის დროს ჩემი თვალები თუნდაც ხავსს დაეძებდა, რომ მოვჭიდებოდი. ბოლო ამოყვინთვისას დავინახე ჩემთან ახლოს მოცურებული ჩემი უფროსი და, ანიკო, ჯოხით ხელში. „არ მომქაჩო, ჯოხს ჩაეჭიდე და მომყევი!“ – მიყვირა სასოწარკვეთილმა. სწორედ ასე მოვიქეცი და ორივენი ნაპირზე აღმოვჩნდით.

არც ხავსი იყო აქ ახლა, აღარც ანიკო მყავდა, რომ გამოვეფხიზლებინე. პასუხი კი გასაცემი მქონდა.

– ნამდვილად არ გამივლია გულში არალეგალურად მეცხოვრა. ამაში ადვილად დარწმუნდებით, როცა საქმეს გაეცნობით. ჩემს ჩანთას, დოკუმენტებით, გადმოგცემენ ჩემი მეგობრები, თუ ამ ნომერზე დარეკავთ. შემდეგი შეხვედრა უფრო ნაყოფიერი იქნება ორივე მხარისთვის, – გავუწოდე კალამი მე.

და ამ დროს პაწაწინა ხავსი ამოიწვერა: იქნებ მათ, ჩემს მეგობრებს, სათვალთვალო კამერების გარეშე უფრო ადვილად აეხსნათ და დაერწმუნებინათ ბატონი კონორი, რომ არა, არ ვიყავი ამ ქვეყნის სოციალის მხრებზე შესკუპებასა და ლაღად ცხოვრებაზე მეოცნებე. შემდეგ თვითონაც გაეცნობოდა საქმეს და იქნებ ადვილად მიეგნო, რა გზით, როგორ შემშველებოდა.

დავბრუნდი დაჯისთან.

– რაო?

– მაქვს ინფორმაცია, რომ ირლანდიელი პარტნიორი გყავსო. ეს სულაც არ არის უხერხულიო.

– მერე?

– არასწორი ინფორმაცია მოუწოდებიათ-მეთქი.

– და დაკარგე შანსი, აქედან გაეყვანე. აღარ გააგრძელო!

– ალბათ, ამიტომ დააბნია ჩემმა პასუხმა. არა, რომ ეკითხა პარტნიორის ვინაობა უნდა დავაფიქსიროო, მაშინ რა უნდა მექნა?! „არა შეჯდა მწყერი ხესა“. რა ვქნა, არ შემიძლია მოვიგიჟიანო თავი, არ შემიძლია, გავფართხალდე, არ შემიძლია, არარსებული მეგობარი პარტნიორის არსებობა მოვიშველიო.

– დამშვიდდი ახლა, არ ინერვიულო! ვნახოთ, რა მოხდება. გაიხსენე, ასე ჩვენსავით სადეპორტოდ გამზადებულნი, 58 დღის შემდეგ რომ გაათავისუფლეს და ბედს არც შემდგომ უჩივიან.

– რა, გინდა ახლა ვულკანი ამოიფრქვეს თუ ხავერდოვან სექტემბერში ქვეყანას ორთვიანი დიდთოვლობა დაატყდეს?

– არ მინდა. მაგრამ დეპორტიც არ მინდა!

გავიტრუნე. სიმართლის შემოლაწუნებას სწრაფად მოვყავარ ხოლმე გონზე.

მომენატრება დუბლინი. უმეტესად ნისლიანი, მაგრამ სხვადასხვა ტონალობის მწვანე ფერებში, შუა ზამთარშიც კი ჭრელა-ჭრულა ყვავილებით მოფარდაგებული. მომენატრებიან გულღია და ალალამართალი დუბლინელები. დაწიკწიკებული ქუჩები და ხეივნები. თავისი მრავალფეროვნებით ცნობილი გრაფტონ სტრიტი....

ვის არ ნახავ გრაფტონზე, რას არ გადააწყდები! აქ თითქოს შენს ხელისგულზე გადაშლილა ირლანდია მთელი სიგრძე-სიგანით. ვერ გაექცევი და აუცილებლად შეგაჩერებს ირლანდიური ფოლკლორის ვირტუოზების, რივერდანსის ილეთებში გაწაფული მომავალი ვარსკვლავების ოსტატობა; უნაზესი არფისტის ხელოვნება; სხვადასხვა ეპოქაში ქვეყნის ცხოვრების ამსახველი ცოცხალი ქანდაკებები, რომელთა მიერ პოზის შეცვლას თან სდევს

ხოლმე პატარების ჟრიამული, ფეხაკრეფით, შიშით რომ მიუახლოვდებიან ყულაბაში ხურდა ფულის ჩასაჩხრიალებლად. უფრო მეტიც, თითქოს მთელი მილეთი აქ შეყრილა! ევროპის, აზიისა და აფრიკის რომელი ქვეყნიდან არ ნახავ აქ ბედის საძიებლად ჩამოსულთ. რაიმე სამუშაოს შოვნამდე დაუზარლად, დამუშავებული ან თუნდაც სახელდახელოდ ნასწავლი ტრიუკებით რომ ცდილობენ ყურადღების მიქცევას, რათა დახმარების ხელი გაუწოდო და დღეები გადააგორებინო. ეს ყველაფერი უწყვეტად, თითქოს უხილავი ხელი მართავსო, დღის ყველა მონაკვეთში ასე გრძელდება. გრაფტონსტრიტია თითოეული მათგანის არა მხოლოდ იმედის, არამედ ძიების, პოვნის, მიგნებისა და თავის დამკვიდრების შეუცვლელი ადგილი.

რამდენჯერ გადავწყდომივარ, როგორი გატაცებით უკრავდა ცნობილი პიანისტი გრაფტონზე გამოტანილ, საკუთარ ძვირადღირებულ ფორტეპიანოზე. რა იყო ეს? ჟინი! დიახ, დაუოკებელი სურვილი, გრაფტონზე, საყვარელ გრაფტონზე ზოგჯერ მაინც დაეკრა, რომ მისი მსმენელი რიგითი ადამიანები ყოფილიყვნენ.

ყველა ჟანრს თავისი მსმენელი და გულშემატკივარი ჰყავს. პარასკევობით, 6-ზე მუშაობას მოვრჩებოდი თუ არა, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი ხოლმე გრაფტონზე. ლუაზიდ-

ან ფეხს გადმოვდგამდი და უკვე იღვრებოდა მოცარტის თურქული მარში, რომელსაც ახალგაზრდული, ხუთი სლოვაკი მუსიკოსისგან შემდგარი ბენდი ასრულებდა კეთილსინდისიერად, უხარვეზოდ, მაღალ საშემსრულებლო დონეზე. მრავალფეროვანი რეპერტუარი იწყებოდა და მთავრდებოდა მოცარტის თურქული მარშით. გამორჩეული იყო პირველი ვიოლინო, აკადემიური სლოვაკი მევიოლინე, ვლადიმირ იაბლოკოვი, რომელიც ანდრე რიუს მაგონებდა მასავით ლაღი შესრულებით, მუსიკალური მანერებითა და ანცი თვალებით. მისი მხრებზე დაშვებული ოქროსფერი კულულების თითოეული ღერიც კი თითქოს მუსიკის ზემოქმედების ქვეშ იყო.

სულაც არ გამკვირვებია, მათი გამოჩენიდან სულ რაღაც ორ წელიწადში, ერთ მშვენიერ დღეს მოსასმენად მისულთ, ლამაზი დიზაინით შესრულებული საკონცერტო პროგრამა მოწიწებით რომ შემოგვთავაზეს. „გრაფტონსტრიტიდან – მუსიკჰოლამდე“, ასე ერქვა კონცერტს, რომელიც სამ დღეს გასტანდა მუსიკჰოლში. არ ცხრებოდა ჩვენი ოვაციები. ეს იყო ზეიმი. ჩვენი, მსმენელისა და შემსრულებლის, ერთობლივი ზეიმი. აღიარება იმისა, რომ საკუთარი ქვეყნის სიდუხჭირეს გარიდებული, უცხო ქვეყნის ზეცას შეფარებული ადამიანი ჯიუტი, დაუღალავი, მიზანმიმართული, კეთილსინდისიერი შრომით მაინც შეძლებს გზის

გაკვლევას და თავის დამკვიდრებას!

გრაფტონ სტრიტის ბოლოში მომხიბლავი მოლი მელონეს სტატუეტს მიკრულ, ფოტოაპარატის დაჩხაკუნების მომლოდინე აბეზარ ტურისტებს რომ ჩავუვლიდი, ყურში ტრადიციული ირლანდიური ბენდის – „დე დუბლინერს“ სიმღერა „მოლი მელონე“ ჩამესმოდა ხოლმე და პოზიორების წინ, ძალაუნებურად რიტმს აყოლილი, ღიმილით შევჩერდებოდი. დუბლინში ღიმილი ცუდ ტონად არ მიიჩნევა. არავის მოეჩვენება ეს გამოწვევად და აღარც ვინმე აგეკიდება. აქ მოხვედრილი ქართველი ამას გააცნობიერებს თუ არა, ძალიან მალე შუბლზე გაჩენილი ნაოჭები გადაეტკუცება და ღიმილიანი ხდება ხოლმე.

გრაფტონზე, ცნობილი ბრენდების მოდურ ტანსაცმელში გამოკვართული მანეკენებით თავმომწონე ვიტრინების გვერდით, მაღაზიების ზედ შესასვლელ კარებთან, ყოველ ღამე უსახლკაროები მოკალათდებიან ხოლმე და გვიან, როცა ხალხის ნაკადი შენელდება, საძილე ტომრებში შეფუთულები მშვიდად უსაფრთხო ძილს მისცემენ თავს. აქ თავს უფრო დაცულად ვგრძნობთო და კიდევ იმიტომ, რომ ღვთისგან ბოძებული შანსია, გრაფტონზე რომ ვართო. დუბლინში მცხოვრები 150-მდე უსახლკაროთა შორის ჩვენ ყველაზე პრესტიჟული მისამართი გვაქვსო, დასძენენ ხოლმე ნაღვლიანად.

ბოლო წლებში ჰენრი სტრიტიც ერთობ რო-

მანტიკული გახდა. აქაც მომრავლდნენ ირლანდიური თუ არაირლანდიური ფოლკლორის ვირტუოზი და არავირტუოზი შემსრულებლები, იაპონელთა, ჩინელთა და ინდიელთა მიერ შესრულებული ხან შთამბეჭდავი და ხანაც უღიმღამო სანახაობები. გახშირდა ახალგაზრდული ბენდების მიერ თუნუქის ქილებზე, ტაფების, ქვაბებისა და სამზარეულოს სხვა ჭურჭლის ძირზე, ტარსა თუ კედლებზე თითებისა და ჯოხების შეხება-რაკუნით წარმოქმნილი ავანგარდისტული მუსიკის ჰანგები.

ოპერის ცნობილი მომღერალი, პიტერ უოლსი, ყოველ კვირა დღეს, 12 საათისთვის, ქუჩის კუთხეში მოიმარჯვებს ხოლმე მიკროფონს, ჩართავს მუსიკას მინუს ფონოგრამაზე და თითქოს მსმენელით გადაჭედილი საოპერო თეატრის სცენა იყოს, ღირსეული მანერებით კეთილსინდისიერად ასრულებს არიებს. მის მიერ შესრულებული „იზაბელა“ თავს აკარგვინებს მსმენელს და ვალსი წალეკავს ხოლმე იქაურობას. იქვე აწყვია მისი ჩაწერილი ძველი და ახალი, გასაყიდად გამოტანილი დისკები.

აქაც, ისევე როგორც გრაფტონზე, სახელდახელო დახლებზე გამოფენილი ფერადფერადი, ხელით ნაქსოვი ქუდების, შარფებისა და ათი ათასი სამახსოვრო სუვენირის ფართო არჩევანია.

ეს ყველაფერი წყდება შობის წინა დღეებში. საშობაოდ გადაზიმზიმებული გრაფტონი,

ჰენრი სტრიტი, დუბლინის ყველა კუთხეკუნ-ჭული საქველმოქმედო აქციებით წაილეკება ხოლმე. განურჩევლად ასაკისა, დიდსა და პა-ტარას ქველმოქმედების ისტერია მოიცავს. „ალილუია“ ორკესტრის ან აკორდეონის თან-ხლებით, „ალილუია“ სულაც მუსიკის გარეშე გეგებება ყველგან, ყოველწამს. და შენც მზადა ხარ, ყოველდღე გარკვეული თანხა გაიღო და შენი უხილავი წვლილი შეიტანო ნებისმიერი ან სულაც შენივე საკუთარი, სურვილით შერჩე-ული საზოგადოების ფონდში. დარწმუნებულ-მა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად მხოლოდ აბრაზე მითითებულ ადრესატს მოხმარდება და სხვა თვალთმაქცობა გამორიცხულია.

თითქოს სიმბოლურად ქალაქის შუაგულ-ში, ო'კონელსტრიტის გზაჯვარედინზე, დაუდ-გამთ დიდი ირლანდიელის, პოეტისა და მწერ-ლის, სამშობლოზე უიმედოდ შეყვარებული ყარიბის – ჯეიმზ ჯოისის ძეგლი. ჯოხზე დაყ-რდნობილი ფიქრიანად გარინდებული დგას ჯოისი: ყველაფერი ესმის, ყველაფერს ხედავს. გრძნობს თავისი საყვარელი დუბლინისა და დუბლინელების სუნთქვას მესამე ათასწლე-ულში.

და ეს ხდება „Little Ireland“-ში, ადგილობრი-ვისა თუ ვიზიტორის მიმართ შესაშური თავა-ზიანი დამოკიდებულებითა და მოყვასის სიყ-ვარულით გამორჩეულ, ატლანტიკის ოკეანის ზედაპირზე მოტივტივე მწვანე კუნძულზე.

კონორის არც შემდგომი ვიზიტი ყოფილა იმედისმომცემი. პირნათლად შეასრულა ჩემი თხოვნა, მომიტანა ჩანთა და კიდევ ერთხელ ჩემთან ერთად განიხილა ზოგიერთი ნიუანსი.

შენი განაცხადის დაკმაყოფილება დროებითი თავშესაფრის თაობაზე მხოლოდ იმ მოტივებზე დაყრდნობით, რაც მითითებული გაქვს დოკუმენტებში, ამჟამად მოქმედი პროექტის ფარგლებში ვერ მოხერხდებაო. ზუსტი დრო უცნობია, როდის იქნება სპეციალური ავიარეისი. დროში თუ არ ვიქნებით შეზღუდული, თქვენი დატოვება ქვეყანაში სხვადასხვა ინსტანციების მხარდაჭერით შესაძლებელია, რაზედაც სიამოვნებით ვიმუშავებო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ერთმანეთთან დამშვიდობება მოგვიწევსო. მაგრამ რა მოხდა, ეს მომაკვდინებელი სულაც არ არის და სიცოცხლე გრძელდებაო. სამუშაოს საქართველოშიც იშ-

ოვით და თქვენს ოჯახთან იქნებითო. ხოლო „Little Ireland-ზე“ მუშაობას გააგრძელებთ და პერიოდულად გვესტუმრებითო.

რა გაეწყობა, უნდა მივყვე დროის დინებას!

ფიქრი და ოცნება დროის გადაგორების საუკეთესო საშუალებებია. მწყრალად მეც არა ვარ მათთან.

„გეშელება“, „გეშელება“ - ანუ „ცხოვრება გრძელდებაო“, ჩამესმის ხოლმე ნინის ხმა ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში და ძალაუნებურად მეღიმება.

ნინი ჩემი შვილიშვილია, ტყუპისცალი, გიოზე 10 წუთით პატარა. ზაფხულობით ბავშვები ნაქალაქევში ჩაგვყავდა ხოლმე, ჩვენს სოფელში, სენაკის რაიონში, სადაც დიდ, გაშლილ ეზოში ჩემი მშობლების სახლი დგას. ეს ტრადიციად ვაქციეთ ჩემმა დებმა და მე. ფანტასტიკური გეოგრაფიული მდებარეობა, ულამაზესი ლანდშაფტი, მთა, მდინარე, არქეოლოგიური გათხრები. დიდებული ისტორიული წარსულის ნიმუშების მოპოვებაში მონაწილეობის მიღება. მდინარეში ცურვა და თევზაობა, ხეებიდან ხილის ჩამოკრეფა, დილა-საღამოს მარწყვისა და ჟოლოს შეგროვება ჩვენს მინი პლანტაციაში. ცვრიანი ბოსტნეულის დაკრეფა ბაღჩაში. დილაობით, წესად ქცეული, ნამიან ბალახში ფეხშიშველი სიარული სახლიდან ჭიშკრამდე და ჭიშკრიდან სახლამდე. თვალის დევნება, როგორ იღვიძებენ მინდვრის პაწაწინა ყვავი-

ლები და როგორ აფერადებენ მწვანე ხალიჩას. ბაია, ღიღილო, საპოვნელა, ცისთვალა, გვირილები ის ყვავილებია, რომელთაც დათესვა არ სჭირდებათ ჩვენი ეზოს პირობებში და თვითონ მიმოიბნევიან ხოლმე. განთიადს ჩიტუნები ასწრებენ. ჯერ მათი საქმიანი გადაძახილი ატყდება დღის განმავლობაში წვრილწვრილი საკითხების ერთობლივად მოგვარების თაობაზე და ამის მერე ნელ-ნელა ბაცდება ხოლმე ცის კაბადონი. ამას მოსდევს ელექტრონის სადენებზე შემოსკუპებული მერცხლების ორკესტრის შეუდარებელი „ჰიმნი სიცოცხლეს“. საათობით დადარაჯება მერცხლის ბუდესთან და თვალის დევნება, როგორ ანაყრებენ დედები შვილებს. ჭკვიანი შვილები როგორ ელოდებიან თავიანთ ულუფას და რიგ-რიგობით როგორ დააღებენ ხოლმე პაწაწინა ნისკარტებს.

ყოველთვის გაოცებას იწვევდა პატარებში, მარტოდ დარჩენილი პაწაწინა, მობუზული არსებები რომ ახვანხვალდებოდნენ, რიგ-რიგობით ფრთხილად, მორცხვად გადმოსწევდნენ თავიანთ უკანალს და გადმოასკლინტავდნენ. შემდეგ ისევ ხვანხვალით შებრუნდებოდნენ ხოლმე.

– ლა ქნა? ლას აკეთებს? ლომ ჩამოვალდეს? – უსასრულოდ ისმოდა მათი შეკითხვები თავდაპირველად და გადმოცვენაზე ჰქონდათ თვალები. ყოველ ჯერზე ჩვენს ერთსა და იმავე პასუხებს რომ გააცნობიერებდნენ, შემდეგ შე-

კითხვებს ერთმანეთს უსვამდნენ და თვითონ-ვე პასუხობდნენ.

– თუ იცი, ლატომ ხვანხვალებენ ბალტყები?

– კაკა უნდათ. ბუდე სუფთა უნდა დაახვედ-ლონ დედიკოს!

– ლომ ჩამოვალდნენ?

– ალ ჩამოვალდებიან. ფლთხილები ალიან.

– თუ ჩამოვალდებიან, ჩვენ შემოვსვამთ ის-ევ!

– ჩვენ ლომ არ ვიყოთ და კატამ წაგვალ-თვას?

– ალა, ველ წაგვალთმევს!

ბარტყების დარაჯობა რომ დაღლიდათ ან თამაში მოუნდებოდათ, ლუბა ბებოს, დე-დაჩემს, დასვამდნენ ხოლმე სადარაჯოზე და ჩუმ-ჩუმად ამოწმებდნენ, ბებომ პოსტი ხომ არ დატოვაო.

ზღვარსგადასული ინტერესით, მოფარე-ბულში მყუდროდ მოყუჩულნი, თვალებგაფარ-თოებული მისჩერებოდნენ ხოლმე, დედ-მამა მერცხლები როგორ ასწავლიდნენ ფრენას თა-ვიანთ ბარტყებს.

– ჯერ ტოტიდან ტოტზე, შემდეგ ხიდან ხე-ზე! შემდეგ ერთი უნდა აიჭრა ჰაერში და უცებ დაეშვა ტოტზე! ბევრი უნდა ივარჯიშო, არ შე-შინდე, მე გვერდით ვარ და გაცილებ! აბა, მარ-ჯვედ! – ასე იმოძღვრებოდნენ პაწაწინები ჩვენ თვალწინ.

ერთ დღეში სწავლობდნენ ფრენას პატარე-

ბი, მომდევნო დღეებს ფრთების გამაგრებას ანდომებდნენ და მერე კი, თუკი ახლოს დაგვიგულებდნენ, მაშინ მოუნდებოდათ ხოლმე თავის მოწონება და ცაში მაღლა ასრიალება.

დადგებოდა მერცხლების თბილ ქვეყნებში გადაფრენის დროც. ეს გარდაუვალი მოვლენა იყო. დამშვიდობება საღამოს ხდებოდა, რადგან ისინი უთენია უნდა გასდგომოდნენ შორეულ გზას.

მოსაღამოვდებოდა და ატყდებოდა თუ არა მათი გნიასი, ეს იმის ნიშანი იყო, რომ გარეთ გვიხმობდნენ და დამშვიდობების რიტუალი იწყებოდა. გავცვივდებოდით მაშინვე, ჩამოვსხდებოდით, ვინ სადაც მოვიხელთებდით: კიბეზე, ქვაზე, სკამზე, მიწაზე. ირგვლივ: ტოტებზე, სადენებზე, ღობეზე შემოსხდებოდნენ ჩვენი მერცხლები. შემოუერთდებოდა მათ მიერ მეზობელი ეზოებიდან მოწვეული მერცხლების გუნდი „ორკესტრის“ გასაძლიერებლად და დგებოდა ამაღელვებელი მომენტი ზაფხულის ჩვენი ნაქალაქევური თანაცხოვრებიდან. ჯერ ერთი მერცხალი, ეტყობა, ოჯახის უფროსი, აჟღურტულდებოდა ხოლმე. ტონალობით ვასხვავებდით მის სამადლობელ ან სამდურავ ჟღურტულს. ძირითადი ნაწილის შემდეგ ორკესტრი ჩაერთვებოდა და მთელი ნახევარი საათი გრძელდებოდა ეს ღვთაებრივი რიტუალი ხან სოლოს და ხანაც გუნდის შესრულებით. ბედნიერი ბავშვები სუნთქვაშეკრულნი მისჩერებოდნენ მათ და, ვინ იცის,

ფიქრებში ნისკარტებს უკოცნიდნენ. უთენია მერცხლები ჯერ სახლს შემოუფრენდნენ რამდენჯერმე, მერე მთელ ეზოს და დაადგებოდნენ შორ გზას.

კინაღამ გამომრჩა! ჩვენს სახლში სამი ბუდე ჰქონდათ მერცხლებს. თითოეული წყვილი სეზონზე ორჯერ ასწრებდა 4-4 ბარტყის გამოჩეკასა და დაფრთიანებას და ჩვენი მერცხლების გუნდი გადაფრენის დროისთვის უკვე სამი თაობის 30 წევრისგან შედგებოდა.

ჩემი უფროსი დის, ანიკოს, დაღუპვის შემდეგ ერთი ბუდე ჩამოიშალა.

დილა-საღამოს ვცდილობდით ხოლმე, ბავშვებიანად გორაზე ან მთაზე ავსულიყავით. ჩავილაგებდით პურსა და ყველს, მათარით წყალს აბგაში და ჯოხებით შეიარაღებულნი გავსწევდით. სჯეროდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბაჭიას ან სულაც პატარა მელაკუდას გადავაწყდებოდით და სახლში წამოვიყვანდით. ბავშვები სამ-ოთხ დღეში უკვე მოფერიანდებოდნენ და ჯანსაღი იერი დაედებოდათ ხოლმე.

ერთხელაც მთაში ვართ გიო, ნინი და მე. ბავშვები ბუჩქებს ათვალიერებენ.

– ნახე, მერცხალი რა ახლოს მოფრინდა ჩვენთან! – წამოიძახა გიომ.

მართლაც მერცხალი მოიჭრებოდა ჩვენთან, თითქმის მიწამდე დაეშვებოდა, უცებ ისევ ზევით ასრიალდებოდა. თითქოს რაღაც ნიშანს გვაძლევდა.

– ბარტყი ხომ არ ჩამოუვარდა სადმე? – თვალებს აცეცებს ნინი.

– მერცხლებს ბარტყები არ დაჰყავთ მთაში.

– იქნებ მელაკუდას სორო შენიშნა?

– ნეტა რას გვეუბნება?

– ნუ ვაწვალებთ, არ მოგვშორდება! ჯობია დავბრუნდეთ! მგონი გვაფრთხილებს, ამინდი შეიცვლებაო, – დავაწყნარე ბავშვები და მთიდან დავეშვით. სულ რაღაც 15 წუთში კოკისპირულმა წვიმამ დასცხო.

– რა იცოდა მერცხალმა, რომ იწვიმებდა?

– ჩვენი დახმარება უნდოდა ხომ, ბავშვები არ დასველდნენო?

– ვუყვარვართ ხომ ჩვენს მერცხლებს?

– რა კეთილები არიან!

– ჩვენ რომ გვიყვარს, იმათაც ვუყვარვართ ხომ?

ბოლო არ უჩანდა მათ შეკითხვებსა და დასკვნებს მსგავს სიტუაციებში.

ჩვენ, ჩვენს შემდგომ თაობებს – შვილებსა და შვილიშვილებს – „ჩემი მშობლების სამეფოს“ ეს აკადემია გვაქვს გავლილი. მომდევნო თაობებიც ასევე გააგრძელებენ, დარწმუნებული ვარ.

აქ, ნაქალაქევშია, ჩვენი წინაპრების ძვალთშესალაგი.

და რაც მთავრია, ამ ყველაფრის გვირგვინი, ჩვენი შეუდარებელი, ჩვენი ჭირსა და ლხინში გამოცდილი, კეთილი მეზობლები. ერთმანეთს

რომ ასწრებენ, დილას მაგიდაზე შემოდგან ახალმოწველილი, ჯერაც თბილი რძე, ახალამოყვანილი ყველი, კვერცხი, ბოსტნეული, ხილი, თხილი, კაკალი. ვარიებიც კი არ ენანებათ არასდროს, ბავშვებს სოფლის წიწილის ბულიონი რომ არ მოაკლდეთ.

ახლა რაც შეეხება ახლობლებსა და ნაცნობებში იმედიან, სლოგანად ქცეულ „გეშელებას“.

ერთხელაც დადგა სოფლიდან ჩვენი წამოსვლის დრო. ვალაგებთ ბარგს მანქანის საბარგულში. ნინი, პაწაწინა, ორი წლის, იქვე ტრიალებს. გაიქცევა, მოიტანს რიგრიგობით რომელიმე სათამაშოს, რომელიც სოფელში დასატოვებლად არ ემეტება და აწყობს სალონში.

მეზობლის ქალმა, გულნაზიმ, მეგრულად გადმოგვილაპარაკა, ნინი რომ მოგვიახლოვდება, ყურადღება მოგვაქციეთო. რამდენი ნინი გამოჩნდებოდა, იმდენი გულნაზი ავიშვიშდებოდა, რა მეშველება, გიო და ნინი რომ წავლენ, ვინ მომეხმარება, ვინ დაუყრის საკენკს ჩემს წიწილებს, მარტომ როგორ ჩავუსხა ბოჩოლებს რძე ბოთლში და როგორ მოვაწოვო საწოვარათიო. ესმოდა ნინის ეს, თავს არ ასწევდა, მოკლედ პასუხობდა „გეშელება, გეშელებაო“ და აგრძელებდა თავის საქმიან ფუსფუსს.

რა თქმა უნდა, ყველაფერს ეშველება, ყველაფერი თავისი გზით წავა!

გული მწყდება, ზიზისთან საქმიანი შეხვედრა რომ ვერ მოვასწარი. მიმაჩნია, რომ ზოგი დეტალის სიზუსტისთვის ეს აუცილებელი იყო. ზიზი ნანობაშვილი-ლოფტუსი ქართველია, უმაღლესი მუსიკალური განათლებით და თითქმის ორი ათეული წელია, დუბლინში ცხოვრობს თავის ირლანდიელ მეუღლესთან, როგორც ამბობენ, დიდებულ პიროვნებასთან ერთად. დუბლინში რომ ჩავედი, მეორე თუ მესამე დღეს, მანანამ, ჩემმა რუმეითმა, წირვაზე წასვლა შემომთავაზა. თურმე სულ რაღაც ბოლო სამი კვირა იყო, რომ საქართველოდან ჩასული მამა მალხაზი წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე აღავლენდა ერთ-ერთი სასტუმროს მიერ გამოყოფილ ოთახში. ამის მისაღწევად რამდენი ხილული და უხილავი შრომა იყო საჭირო, რამდენი წინაპერიოდი იყო გასავლელი და ბუნებრივია, დავინტერესდი დუბლინში უფრო

ადრე ჩასული ქართველების საქმიანობით.

აღმოვაჩინე, რომ ეს ყველაფერი სათავეს ზიზი ნანობაშვილისგან იღებდა. მან აიხდინა ოცნებაო, ამიხსნეს. შემდგომ ერთ-ერთი კათოლიკური ეკლესიის შენობა დროებით სარგებლობაში არენდით გადმოგვეცა ქართველებს. ზიზიმ კიდევ ერთი ოცნება აიხდინა: ნაცნობებში მოიძია და ვისაც ყური უჭრიდა და არ ეზარებოდა, ქართული საგალობლები შეასწავლა. ამის შემდეგ დახვეწილი ქართული საგალობლების გარეშე არც ერთი წირვა-ლოცვა არ ჩატარებულა. შემდეგ თანდათან შეიქმნა ვაჟთა ვოკალური ჯგუფი, გოგონათა ანსამბლი, ბავშვთა გუნდი და „Mixed Melodies“. ბოლო პერიოდში შექმნილ „ზურმუხტში“, გარდა ქართველებისა, ქართული სიმღერებით დაინტერესებული ირლანდიელი და უცხოელი მოყვარულებიც ამღერდნენ.

2008-ში ჩამოვიდა დუბლინში მოცეკვავე ლაშა საბაშვილი. ამით გაჩნდა კიდევ ერთი საშუალება, შემდგომი თაობის, იქ დაბადებული და გაზრდილი ქართველების, ქართული სულის გადასარჩენად. ყველას უხაროდა. ლაშა, გარდა კარგი მოცეკვავისა, შესაშურად კარგი მასწავლებელი და საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა.

სწრაფად შეგროვდნენ მსურველები და დაიწყო ცეკვის გაკვეთილები ერთდროულად დუბლინსა და კორკში. ლაშას არასდროს და-

ზარებია გრაფიკით ამ ორ ქალაქს შორის სირ-
ბილი. ასე იშვა დუბლინში ანსამბლი „საბასე-
ული“. შედეგმაც არ დააყოვნა და უკვე 2009
წლის საშობაო ზეიმზე ორივე ხელოვანი დი-
დებული საკონცერტო პროგრამით წარსდგა
ჩვენს წინაშე.

ამ კონცერტზევე გავიცანი ქართველი ვირ-
ტუოზი პიანისტი გოგოშკა ქინქლაძე. გოგოშკა
ოთარ ქინქლაძის, უსაყვარლესი პიროვნების,
საქართველოს განათლების ერთ-ერთი ყოფილი
მინისტრის ქალიშვილი აღმოჩნდა. ოდნავ უნდა
გადავუხვიო. ბატონი ოთარი არ იყო რიგითი
მინისტრი. ის სრულიად საქართველოს მასწავ-
ლებლობის დიდი და ერთგული მეგობარი გახ-
ლდათ. მან გულთან ახლოს მიიტანა განათლე-
ბის სისტემაში არსებული ხარვეზები და რევო-
ლუციის ტოლფასი გადატრიალება მოახდინა.
ჭკვიანი კაცი იყო ბატონი ოთარი, აკადემიური.
მას ბევრი რამის დანახვა და რეალურად აღქმა
შეეძლო, ამიტომ მისი გადაწყვეტილება – სოფ-
ლად თუ ქალაქად პირადად ჩასულიყო და ად-
გილზე შეესწავლა არსებული რეალური მდგო-
მარეობა, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ყველა
დონის ხელმძღვანელი მუშაკებისთვის.

იმ პერიოდში გერმანულ ენას ვასწავლიდი
ქალაქის ორ საშუალო სკოლაში ერთდროულ-
ად და მომეცა საშუალება, საქმიან ვითარებაში
რამდენიმეჯერ შევხვედროდი ბატონ ოთარს
სასკოლო ცხოვრებაში სხვადასვა პრობლემუ-

რი საკითხის განსახილველად. მიუკერძოებელი მინისტრი, თუ ვერ ფლობდა სიტუაციას გარკვეულ მომენტში, ჯერ საკითხსა ღა პრობლემას შეისწავლიდა და მხოლოდ ამის შემდგომ იწყებოდა დებატები. ბატონი ოთარი ვერ ეგუებოდა ყალბ ფრაზებსა და ვითომ საქმიან, მაგრამ არაფრისმთქმელ და არაფრისმაქნის რეზოლუციებს. ვხედავდი, ჩემ ირგვლივ ყველა გაორმაგებული ენერგიითა და ენთუზიაზმით მუშაობდა. თავიდათავი ყველაფრისა კი იყო ის, რომ პირველი პირი, რომელიც საქართველოში ამ დარგს ხელმძღვანელობდა, იყო უაღრესად განათლებული, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და თავისი ხალხისადმი და საქმისადმი უდაოვოდ თავდადებული პიროვნება. ასეთები ყოველთვის ერთეულები არიან ხოლმე.

ბუნებრივია, ძალიან მინდოდა, მისი ქალიშვილი სუპერაკადემიური, მაღალი დონის პიანისტი ყოფილიყო. რომ მივედი, გოგოშკა უკვე იქ იყო თავის ორ ბოკვერთან ერთად. ირლანდიელი მეუღლე ორგანიზაციულ საქმეებს აგვარებდა. პირველივე აკორდიდან შეიკრა სუნთქვა დარბაზმა. ახმაურებული პატარებიც კი გაიტრუნნენ. კონცერტზე გოგოშკამ ორი ნაწარმოები შეასრულა. კონცერტის შემდეგ ვსთხოვე ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომ მინი-ინტერვიუსთვის ჩემს რამდენიმე კითხვაზე პასუხი გაეცა.

ჩაფიქრებული მქონდა, ქართული პრესისთვის პერიოდულად მიმეწოდებინა მასალები დუბლინში მცხოვრები წარმატებული ქართველების საქმიანობის შესახებ. ახალჩასულმა სწორედ ამ გზით გავაცანი ქართულ საზოგადოებას ბრეიში მცხოვრები, წარმოშობით ფოთელი მოკრივის – ზაურ ანთიას საქმიანობა. ვერ ვღალატობ ჩემს ეგრეთ წოდებულ „ძველმოდურ“ თვისებას, დავინახო, ვაღიარო და სხვასაც დავანახო და ვაზიარო ჩემი თანამემამულეების (და არა მარტო თანამემამულეების) პროფესიონალიზმი, საქმისადმი მათი დამოკიდებულება და ცხოვრების სწორი წესი.

ეს კონცერტი გახლდათ ჩვენების, ქართველების, ინტელექტუალური შესაძლებლობების პირველი პრეზენტაცია. შანსი ხელიდან არ გავუშვი და კონცერტზე ჩემი ორი საყვარელი ოჯახი მივიწვიე: ნენსი და ჯერალინი, შივონი და ბრენდანი. სამწუხაროდ, ჰილარი და პიტერი მეგანთან - თავიანთ ერთადერთ ქალიშვილთან, ერთად იმ პერიოდში ავსტრალიაში იყვნენ საშობაო მოგზაურობაში.

შივონი, გერმანისტი, ჩემი ირლანდიელი კოლეგა, სრულიად შემთხვევით გავიცანი ერთ ოჯახში, სადაც ჩემი დის, დიანას, ერთ-ერთ მეგობარს ვახლდი. უმოკლეს დროში, ჩვენი ნაცნობობის სულ რაღაც ერთ კვირაში, შივონი გახდა ჩემი გზისმკვლევი დუბლინში. მისი დამსახურება იყო, რომ ჯერალინმა სამი შვილი მანდო და ოჯახის წევრად მიმიღო. მანვე იზრუნა, შენი ინგლისური ენის ცოდნას წა-

ადგებაო და საჩუქრად მომართვა ელენ ჰენ-რიხს-კლაინენის „Englische Grammatik“ და სონია ბროუჰის და კაროლინ ვიტმანის ინგლი-სური ენის კომპაქტური კურსი „Englisch in 30 Tagen“. ხოლო, როცა სახლში ფინჯან ყავაზე მიმიწვია, შემიყვანა თავის ბიბილიოთეკაში, როცა დაგჭირდება, ჩემი ნებისმიერი წიგნით შეგიძლია ისარგებლო, თუკი ჩემს ბიბლიოთ-ეკაში არ აღმოჩნდება, მე თვითონ მოვიძიებ, მოვიპოვებ და მოგაწვდიო. ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპზე მემახსოვრება მისი ადამიან-ური თვისებები. არ არის ადვილი, უცხო ქვეყ-ნიდან ჩამოსულის, შემთხვევით გაცნობილის, დასაქმება თავზე აიღო. არის რაღაცები, რისი დავიწყებაც შეუძლებელია: ერთხელ, შობის წი-ნა დღეებში, დამირეკა, მომიკითხა და მთხოვა, იქნებ გვესტუმრო, ჩემს ქმარს, ბრენდანს, შენ-თან საქმე აქვსო. რომ მივედი, მივიკითხ-მოვი-კითხეთ ერთმანეთი, დავეწვიე ფინჯან ჩაიზე და როცა უკვე მათ უნდა დავმშვიდობებოდი, ში-ვონი ტაქტიანად გავიდა ოთახიდან, ბრენდანს შენთან სალაპარაკო აქვსო. ბრენდანმა, ჩვენი მეგობრები თქვენით კმაყოფილები არიან, ხომ არ გეწყინებათ, ჩვენთანაც შემოგთავაზოთ სა-მუშაო. ან როცა მთელი ზაფხულით კერში, ჰოლიდეიჰაუსში, წავიდოდნენ, შვილებისა და შვილიშვილებისთვის რომ ემასპინძლათ, აუც-ილებლად მეტყოდნენ, როცა თავისუფალი დრო ჩაგივარდება, აქ მოდი, დაისვენე, მთელი სახლი

და ბაღი შენს განკარგულებაშიაო. ან ის როგორ შემიძლია მივცე დავიწყებას, კონცერტების ბილეთებით რომ მანებივრებდნენ. თუნდაც ის, ზაფხულში მათ ეზოში, ჩემი დაკრეფილი ხურტკმელისგან დამზადებული ჟელეთი რომ მოგვიკითხავდა მე და ნენსის ცალ-ცალკე. ხოლო საშობაოდ შტრუდელებს რომ დააცხობდა, ჩემი წილი მე მელოდებოდა ხოლმე. არაერთხელ მიმიღია მათგან შემოთავაზება, იქნებ მოახერხო და ზაფხულში კერში ჩამოხვიდე, მთელ მხარეს შემოგატარებთო.

შთამბეჭდავი აღმოჩნდა სილამაზის ტრფიალი ნენსისთვის ხან ნისლში გახვეული, ხანაც მზის სხივებში აბრჭყვიალებული და მბზინავი, მედიდური მყინვარწვერის კადრების ხილვა.

– სად მიიღო მუსიკალური განათლება ამ პიანისტმა? – მკითხა ნენსიმ საშობაო კონცერტის შემდეგ. შევპირდი, დავაზუსტებ და ამ დღეებში მოგაწვდი ინფორმაციასმეთქი.

რომ გაიგო, გოგოშკამ მუსიკალური განათლება ჩვენს სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო, ქართულ ფოლკლორთან და ეროვნულ ჰანგებთან პირველმა შეხებამ და კიდევ იმან, რომ არასდროს დამზარებია, მეამბა მისთვის ანდრია ბალანჩინის, ნინო ანანიაშვილის, კახა ცისკარიძის, პაატა ბურჭულაძის, არა ერთი საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერისა და ვარსკვლავის შესახებ, მიაღებინა გადაწყვეტილება, მიუხედავად ასაკისა (მაშინ

93-ის იყო), საქართველოში ჩამოსულიყო და ეს უძველესი კულტურის ქვეყანა ენახა.

რა გამოეპარებოდა ნენსის, საუკუნეს მიღწეულს! მთელი საწუთრო აქტიური ცხოვრებით რომ გალია! დღის განმავლობაში მინიმუმ 4 საათი მაინც კითხულობდა. არ გამორჩებოდა კლასიკური მუსიკის არც ერთი კონცერტი დუბლინის მუსიკჰოლში, ვექსფორდის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დადგმული არც ერთი სპექტაკლი მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით. დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ სადმე, იქვე ახლოს მდებარე კაფეში, ფუჟერით ხელში, შეეძლო საათობით საუბარი იმაზე, თუ როგორ იდგმებოდა ეს სპექტაკლი და ასრულებდნენ ამა თუ იმ არიას ცნობილი მომღერლები, ვთქვათ, 50, 60 წლის ან უფრო მეტი ხნის წინათ.

ნენსი, მართლაც, მოარული ენციკლოპედია იყო. რამდენ უნიკალურ მასალას ფლობდა და იტევდა მისი ფენომენური მეხსიერება! ისეთი სიზუსტით იგონებდა და მიამბობდა ამა თუ იმ დეტალს ქვეყნის ისტორიიდან, ნათელი და ბნელი დღეების, დიდი შიმშილობის, ერის ცხოვრების საუკუნეობრივი ტკივილის, ეროვნული გმირების საქმიანობის შედეგად მიღწეული ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის, 30 ვერცხლის ფასად დაკარგული ბელფასტის შესახებ, ძალაუნებურად ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მეც ამ ყველაფრის მომსწრე

და გამზიარებელი ვიყავი.

წუხდა ხოლმე ერთ რამეს: არასდროს არა აქვთ დრო ჯერალინსა და მოიას! რამდენ რამეს ვუამბობდი ხელახლა, რამდენ რამეს მოვიგონებდით ერთად, რამდენ რამეს გადავაფასებდითო! უკვდავი ხომ არა ვარ, ერთხელაც იქნება, ხომ უნდა წავიდეო და ბუნებრივად და ლაღად აიქნევდა ხელს ზეცისკენ. არასდროს შემიმჩნევია, რომ მას ამ „გამგზავრების“ შიში ჰქონოდა. არასდროს! უბრალოდ იცოდა ხოლმე თქმა: ხომ მპირდები, რომ ჩემთვის ილოცებო.

რამდენ რამეზე აგიხელდა თვალს ადამიანს ნენსის საშობაო და წინასაშობაო სამზადისის ყურება; რამდენ რამეზე დაგაფიქრებდა და სულ სხვა კუთხით დაგანახვებდა უამრავ ცხოვრებისეულ, ერთი შეხედვით პაწაწინა ან უმნიშვნელო დეტალსაც კი. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ნენსი თითქოს შობის ამაღელვებელი დღეების დამთავრებისთანავე იწყებდა ფიქრს, როგორ შეხვედროდა შემდეგ შობას, როგორ გადაენაწილებინა თავისი პენსია, რომ საჩუქრებისა და სიხარულის მინიჭების გარეშე არც ეკლესია დარჩენოდა, აღარც ახლობლები, ოჯახის წევრები, თუ თვით ცხოველებიც კი.

ღიმილს მგვრის ყოველთვის ნენსის უცვლელი, ტრადიციული საშობაო რიტუალი. მისი მისია იყო და ვერავინ შეეცილებოდა მას საშობაო სუფრის ჭურჭლეულის გამოლაგებასა და

მოწესრიგებაში. ასევე, პუდინგი აუცილებლად მას უნდა გაეკეთებინა. ბოლო წელს შემომჩივლა, ხელებში ძალა არა მაქვს, თასში მე ჩავყრი ინგრედიენტებს და შენ მოურიე, ოღონდ დიდხანს უნდა ურიოო.

ჯერალინსა და მოიას თვალები აუცრემლდებოდათ ხოლმე, სიფრიფანა ნენსი საზეიმო და საქმიანი იერით, ალმოდებული პუდინგით ხელში რომ შემოფარფატდებოდა სასადილო ოთახში და თვალებგაბრწყინებული თავის ნახელავს საშობაო სუფრაზე შემოდგამდა.

საშობაო კონცერტიდან ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მქონდა საშუალება, 2010 წლის აპრილის თვეში დროჰედის ხელოვნების ცენტრში გამართულ „GoGoshKa Sound@Vision Piano Show“-ზე მომესმინა გოგოშკას დახვეწილი ინტერპრეტაციები და კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავი მისი თითების ღვთაებრივი როკვა-სრიალით კლავიშებზე.

უჩვეულო გარემოებაში გავიცანი 2007 წლის გაზაფხულზე ლაშა ტრაპაიძე. სულ რაღაც ორი-სამი თვის ჩამოსული იყო დუბლინში ჩემი ახლობელი რევაზ მსხალაია, რომ მაღალი სიცხეები დასჩემდა და ექიმებმა თავზარდამცემი დიაგნოზი დაუსვეს: ლეიკემია ბოლო სტადიაში. იწვა დაზაფრული რეზო ჯეიმსჰოსპიტალში და მოთმინებით იტანდა ქიმია-თერაპიის თანხმლებ ტკივილებს.

– შეგიძლია, 3-დან 5-მდე მოხვიდე ხვალ

ჩემთან ჰოსპიტალში? – მთხოვა რეზომ ერთ დღეს.

– რა თქმა უნდა, მაგრამ რა გაგჭირვებია? თარჯიმანი ვერ ახერხებს მოსვლას? – დავინტერესდი საქმის არსით.

– ისიც აქ იქნება მაგ დროს. უნდა გაგაცნო. არ შეიძლება არ იცნობდე ასეთ პიროვნებას!

თუნდაც ავადმყოფის კაპრიზი ყოფილიყო, რეზოს ამას როგორ დავამადლიდი! თავი გავითავისუფლე და დანიშნულ დროს მივედი. მალე ლაშაც მოვიდა ხელში ფაქიზად შეხვეული მოსაკითხით.

– აი, ასე დატვირთული მოდის ყოველდღე. არ უნდა გაიგოს, რომ ვერ ვჭამ. თანაც თბილი კი არა, ცხელ-ცხელი კერძები მოაქვს. ასე მგონია, თვითონ დაუნაყრებელი გამორბის ჩემთან. ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს. მისი მეუღლის მერიდება, – პატარა ბავშვივით შემომჩივლა რეზომ.

– ასე მოვრიგდეთ: ლაშა მოგიტანს მაშინ, როცა რამე მოგენატრება და შენ თვითონ სთხოვ. აი, ახლა დაფიქრდი, იქნებ რამე განსხვავებული გინდა?

– ტყემლის საწებელას სიამოვნებით შევხვრეპდი, მაგრამ სადაა? – ამოიოხრა რეზომ.

ლაშამ ორ დღეში გააჩინა ნანატრი ტყემლის საწებელა. ქართულ ეკლესიაში გამოუცხადებია, ჰოსპიტალში მწოლიარე ავადმყოფი ტყემლის საწებელას ითხოვს და უარს ნუ

მეტყვითო. ასე იქცა ლაშა რეზოს კურაჟად და ყველა პროცედურა, ჰოსპიტლისა თუ საემიგრაციოსი, მხოლოდ მისი მეთვალყურეობითა და დაკვირვებით მიმდინარეობდა. ალბათ, ენანება რეზო და იმიტომ არის ასეთი თავგამოდებული-მეთქი, ვფიქრობდი თავიდან. მაგრამ მერე რომ დავინახე, სადაც მოვხვდებოდი, ყველას ლაშას სახელი ეკერა პირზე, ლაშა მიშველის, ლაშა მომხედავს, ლაშა დამაკვალიანებსო, მივხვდი, სიკეთისა და ქველმოქმედების მქმნელად რომ იყო უფლის მიერ მოვლენილი. რეზო და ლაშა, ბუნებრივია, ერთგული მეგობრები გახდნენ.

რამდენი კარგი ქართველი გავიცანი ირლანდიაში, ერთმანეთის გატანა და გვერდში დგომა რომ არ ესწავლებათ! თეიმურაზ ოზბეთელაშვილი, სულ გაფაციცებული იყო ხოლმე, ახალჩამოსული კაცები როგორმე დაესაქმებინა და ფინანსურად გაეძლიერებინა. ქმარს არც თამილა ჩამორჩებოდა სულგრძელობაში! მათი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო ყველასთვის. რამდენი მშიერი დაპურებულა, რამდენი მიწასთან გასწორებული წამომდგარა ფეხზე მათი დახმარებით!

ყოველთვის მიხაროდა ხოლმე ინტელექტით გამორჩეულ მარინე კაპანაძისა და მისი მეუღლის თემურ ჯიხვაშვილის კომპანიაში მოხვედრა. საახალწლო თუ საშობაო სუფრას იქ არასდროს აკლდა ქართული ტრადიციული ელემ-

ენტები. გულუხვი და, რაც მთავარია, გულღია და ლაღი მასპინძლები იმდენ სითბოს გამოგა-ყოლებდნენ ხოლმე, რომ მთელი თვე სრულიად საკმარისი იყო კარგი განწყობისათვის.

სოსო ლაბაძე, რომელსაც ასე თუ ისე ვიც-ნობდი საქართველოდან, აღმოჩენა იყო ჩემ-თვის. სოსო ოჯახის ერთგულების კლასიკური ნიმუში გახლდათ!

რა შემიძლია გავაკეთო, იქნებ რამე გჭირ-დებათო, ყოველთვის მზადყოფნაში იყო ხოლ-მე ზურა კალანდაძე, ყველა ქართველის მეგო-ბარი და კიდევ ირლანდიაში ჩამოსული სპორ-ტსმენების უღალატო მასპინძელი.

როგორ შემიძლია დავივიწყო ბალსესკინში ჩემი და ვიკა კალანდაძის ერთად ყოფნის პე-რიოდი. ვიკა უსაყვედუროდ მელოდა ხოლმე გვიანამდე. დაღლილი კი ხარ, მაგრამ ნუ გეზა-რება, თავს ძალა დაატანე და ივახშმეო, დამ-ტუქსავდა ხოლმე სიყვარულით და თავზე პა-ტარა ბავშვივით დამფოფინებდა.

რამდენი ტკბილ-მწარე დღეები გადაგვი-გორებია ერთად მე და ჩემს ახალგაზრდა, იქ შეძენილ მეგობრებს – მანანა ხეცაძეს, კატო ჯაოშვილსა და თეა მიმინოშვილს – დაუმსა-ხურებლად მოყენებული წყენისა თუ უსამარ თლობის განცდის ჩასაკლავად. თითოეული მათგანისთვის ხან ნანა ბებო ვიყავი და ხანაც ნანო. მათ არასდროს ეშლებოდათ, მორგებოდ-ნენ სიტუაციას.

მიკვირდა ხოლმე, როგორ ახერხებდა ძალიან ახალგაზრდა ნათია კალანდია, სამი შვილის დედა, ემუშავა, ესწავლა, შვილებისთვის სათანადოდ მოევლო, ეკლესიაში წირვა-ლოცვას არ დაკლებოდა და მეგობრებთანაც გაქცეულიყო.

როგორი ამაღელვებელი და ზღვრებს გადასული იყო ჩემი ემოციები კოკოს, თეას შვილის, ამ ქვეყნად მოვლენისას. ექიმმა როგორც კი მოავლო ხელი ხორცის პატარა მასას და გარკვეული დახმარების შემდეგ კოკომაც ყიჟინა დასცა, მერე მე, გაოგნებულს, მომმართა:

– ქალბატონო, ესეც თქვენი ბიჭუნა. გთხოვთ, ჩაიბაროთ!

და ჩემ თვალწინ კოკო გაზომეს, აწონეს და მოარგეს წარწერიანი სამაჯური გამხდარ მაჯაზე. სულ სათითაოდ დაუთვალეს თითები გაპარჭყულ ხელებსა და ასავსავებულ ფეხებზე. გაასუფთავეს, პირსახოცი თბილად მოახვიეს, პაწაწინა თავზე ქუდი დააკოსეს და საღსალამათი ბიჭუნა დედამისს გულზე ნებიერად წაუწვინეს.

სალონში პირველად ჩვენ შეგვიყვანეს, მე და დაჯი, ხელბორკილების გარეშე. დაღლილობისგან გათანგულს ერთი სული მქონდა, როდის ჩავესვენებოდი და კომფორტულად მოვეწყობოდი სავარძელში. ერთმანეთის შორიახლოს დაგვსვეს. ორივე მხარეს პოლისვუმენები მოგვისხდნენ უსაფრთხოებისთვის, ანუ იმისთვის, რომ სალონიდან არ გავექცეთ.

„აი ახლა კი მართლა მაძევებენ ქვეყნიდან, მხოლოდ ვერ გავიგე, რატომ? ამდენმა გაუგებრობამ როგორ მოიყარა თავი ჩემ გარშემო!“ მინდა შემოჯარულ ფიქრებს თავი დავაღწიო და თვალებს ვხუჭავ.

– სწრაფი ნაბიჯებით იარეთ წინ! – ისმის ვიღაცის მბრძანებლური ხმა სალონში და თვალებს ვახელ. დისტანციის დაცვით, რიგრიგობით, ხელბორკილებით შემოჰყავთ თავ დახრილი, ახალგაზრდა ქართველი ბიჭები, ნა-

ხევარზე მეტი მომპარავები ან ნარკომანები. თითოეულს ორი პოლისმენი მოაცილებს და ერთმანეთისგან მოშორებით საიმედოდ აბინავებენ სავარძლებში. ყველაზე ბოლოს დაჯის ნაცნობი მამა-შვილი შემოიყვანეს. მამა ნერვიულად ახამხამებდა თვალებს.

– თქვენ საიდან აქ? – უკვირს დაჯის.

– ვინც აქა ვართ, ყველანი ღამით აგვიყვანეს სახლებიდან. დაბადების დღეზე ვიყავით და იქ მოგვაკითხეს! ასე თანამშრომლობენ ჩვენები საემიგრაციოსთან! – ბოღმას ვერ ფარავს კაცი.

– ამას როგორ იკადრებენ ჩვენები, რას ამბობ, ვერ დავიჯერებ! – ისმის დაჯის დაღლილი ხმა. ამან, ეტყობა, წონასწორობა ისე დაკარგვინა ახალმოსულს, რომ არც აცია, არც აცხელა, შეუბრალებლად მიახალა დაჯის:

– შენ არ იცი, ვისი ჩაშვებული ხარ? მთელი დუბლინი ლაპარაკობს, მაკამ ჩაუშვა და თავიდან მოიშორაო!

გაშრა დაჯი, თავი დახარა, თითქოს თვითონ ჩაედინა ეს სისაძაგლე!

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა. ამჯერად სამნი შემოვიდნენ სალონში: ექიმი და მედდები. აუცილებელი კომპონენტები სრული უსაფრთხოებისთვის და კიდევ კომფორტისთვის, ალბათ. ისევ სიჩუმე. კიდევ რამდენიმე წუთი და სალონში მკაცრი იერით, თითქოს მარშით შემოვიდა ჯგუფის

ხელმძღვანელი. შემოვიდა და შედგა ჩემი „ნაცნობი policeman-ი“. შედგა და თვალი მოავლო სალონს რამდენიმეჯერ, თითქოს რაღაცას აზუსტებდა და ითვლიდა. რაღაცის ანგარიში არ გამოსდიოდა თითქოს.

„მე ხომ არ მეძებს, ალბათ, ვერ მხედავს. ეტყობა, ძალიან ღრმად ვზივარ სავარძელში და არ ვჩანვარ“, გამიელვა თავში და გავსწორდი. დავენახე. მართალი აღმოვჩნდი. Policeman-ი ექიმს მიუახლოვდა და რაღაც გადაულაპარაკა. ექიმი რატომღაც ჩემკენ წამოვიდა, გვერდით მომიჯდა და მეკითხება:

– ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს, ქალბატონო? ხომ არაფერი გაწუხებთ? წნევას გაგისინჯავთ! – მოიმარჯვა ექიმმა წნევის აპარატი და ფონედოსკოპი.

– გმადლობთ, ახლა კარგად ვარ! წუხელ ვიყავი ცუდად და პრიზონის მორიგე ექთანმა კუთვნილი წამალი არ მომცა. ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. შუაღამისას კი, როცა გამოვყავდით შენობიდან, თითქმის ბრძანებით გადამაყლაპეს აბები და თან სამი დღის მარაგი გამომატანეს. დასამშვიდებელიც და წნევის წამალიც. დამიჯერეთ, თავს კარგად ვგრძნობ, თან მშვენიერ ხასიათზე ვარ (?!).

– მომიტევეთ, მე ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო!

– მაგრამ მე ხომ არ დამიჩივლია, რომ შეუძლოდ ვარ?

– გთხოვთ! ნუ მიძალიანდებით!

– კეთილი, ბატონო ჩემო!

– რატომ ხართ გაღიზიანებული! რა მოხდა? – დაინტერესდა მარჯვენა მხარეს ჩემ გვერდით მჯდომი პოლისვუმენი ექიმის პროცედურების შემდეგ.

– არაფერი. ყველაფერი უცნაურად არის ერთმანეთზე მიბმული, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ!

– გადამიშალეთ გული! მოგეშვებათ! იქნებ სულაც მე შემიძლია რაიმე დახმარების გაწევა. გთხოვთ!

– არაფერი, არ ღირს ამ თემაზე საუბარი!

– და მაინც, გთხოვთ!

– ეტყობა, თქვენი ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა, გამოასწოროს თავისი უსამართლო დამოკიდებულება ჩემ მიმართ.

– მოხდა რამე?

– დაჯისთან, ჩემს მეგობართან, აი ამ ქალბატონთან ვიყავი იმ ღამეს, როცა მათ მოაკითხეს. მეც რომ ჩამსვეს მანქანაში, ავკრიფე ჩემი ადვოკატის ნომერი და მივაწოდე, რომ დალაპარაკებოდა. მან კი გათიშა, არ დაელაპარაკა. შემდეგ საემიგრაციოში გაიარა, ჩემი აყვანის თაობაზე ნებართვის ორდერი აიღო და გამაცაფცაფა პრიზონში. გზაში კიდევ ორჯერ ავკრიფე ნომერი და ვსთხოვე დალაპარაკებოდა ადვოკატს ან საადვოკატო კომპანიის უფროსს, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ეს ხალხი,

სალონში რომ სხედან, ყველანი წუხანდელი აყვანილები არიან. რა აუცილებელი იყო ორი კვირით ადრე ჩემი დაბინავება პრიზონში, რომელი კრიმინალი მე ვარ? ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა! ახლა თუ ცრემლს გადმოვღვრი, ცუდადა ვარ, მიშველეთ-მეთქი, ტრაპიდან მომხსნის და დამტოვებს? მაპატიეთ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ასეთი რამეები საჩემო არ არის!

– მესმის თქვენი. მაგრამ შეცდომები ყველას მოსდის.

– მეც მესმის თქვენი!

– ჩვენს შეცდომებს, უმეტეს შემთხვევაში დღევანდელობა განაპირობებს. ეს არ ნიშნავს, რომ შეცდომების უფლება გვაქვს, მაგრამ აგიხსნით რეალობას და სულ სხვა თვალით შეხედავთ ყველაფერს!

– გთხოვთ, მე გავაგრძელებ: ჩამოსულებმა, ვგულისხმობ დევნილის სტატუსის მაძიებლებმა, იმდენი ქნეს, ანუ ისეთი „გუდ სტორიის“ შეკერეს, შესაბამის ინსტანციებში დამაჯერებლად სცნეს და ადვილად ჩამორიგდა მოქალაქეობის სტატუსი. წლობით გრძელდებოდა ასე. მანამ, ვიდრე ვიღაცამ არ დააფიქსირა და არ გაუჩნდა შეკითხვა, რატომ ჰგავდა, ვთქვათ, ყველა ნიგერიელის ან ყველა ზიმბამბველის, თუნდაც ყველა ქართველის „სტორი“ წვეთი წყალივით ერთმანეთს. გაჩნდა ვარაუდი, ეჭვი, შემდეგ უნდობლობა და თანდათან ეს ისტე-

რიაც შენელდა, ანუ უფრო მეტი დოკუმენტის მოძიება გაცილებით მეტ დროს ითხოვდა. საჭიროდ სცნეს „ავადმყოფებზე“ (იგულისხმება შიზოფრენიითა და ეპილეპსიით დაავადებულებები) ხანგრძლივი დაკვირვება და ხშირი კონტაქტი ორი უკიდურესობის, რეალურისა და არარეალურის, ერთმანეთისგან გასამიჯნად. უმარტივესი გზა, შვილის გაჩენა და მექანიკურად მოქალაქეობის სტატუსის მიღებაც კი, დაიბლოკა. გადიოდა დრო და ორივე მხარე ხვეწდა მეთოდებს, გზებსა და საშუალებებს.

– თქვენ საიდან გაქვთ ამდენი ინფორმაცია?

– ანალიზზე ვმუშაობ. „შიგნიდან“ მოპოვებულზე არანაკლებ საინტერესოა „გარეთ შეკრებილი“ რეალობა. მთავარია, შეგეძლოს პრობლემის დანახვა, ანალიზი და სწორი დასკვნების გაკეთება მიუკერძოებლად. გავაგრძელო? გაინტერესებთ?

– კი. მაგრამ ერთი მიკვირს, რატომ არც ერთი საშუალება არ გამოიყენეთ, ეს უხერხუ ლობა თავიდან რომ აგეცილებინათ?

– არ მივიჩნიე საჭიროდ. დარწმუნებული ვარ სწორად მოვიქეცი.

ასე ხდებოდა ყოველთვის, მიდიოდნენ ემიგრაციაში, როცა საკუთარ ქვეყანაში სამუშაო არ იყო. ემიგრანტობისას ხელმისაწვდომია მამაკაცებისთვის მუშად, ხოლო ქალებისთვის დამხმარედ მუშაობა. როცა ადამიანი განწირულია ემიგრანტობისთვის და იცის, სხვა გზა

არ არის, უნდა წავიდეს, ცდილობს, შეიმსუბუქოს ხვედრი და ეძებს გზებსა და საშუალებებს, რომ იქ უფრო ადვილად და ადამიანურად იცხოვროს, ვიდრე თავის ქვეყანაში. მით უმეტეს აქ, თქვენთან, რამდენიმე წელია დევნილის სტატუსის მაძიებელთა ანუ ლტოლვილთა, მიღების პროექტი ხორციელდება. ამიტომ ვიღაცა რაღაცას იბრალებს, უფრო იბეჩავებს თავს, ვიდრე სინამდვილეშია, ფსიქიკურ დაავადებებსაც იგონებს, ყველა ღონეს ხმარობს, ოღონდაც პროექტის ჩარჩოში მოხვდეს, ქვეყნის სოციალის მხრებზე შესკუპდეს. ვერ შეედავები, ყველას თავისი ცხოვრება აქვს! ან არა და კარგად შეფუთული ტყუილი ისე დააბნევს ხოლმე ადამიანებს, რომ შიშველი სიმართლის დაჯერება უჭირთ.

– თქვენ?

– რა თქმა უნდა, მეც ჩემი ცხოვრება მაქვს. როგორ აგიხსნათ? ვეცდები ყოველ შემთხვევაში. ირლანდიაში ბედის საძიებლად ბრმად არავინ ჩამოსულა. ყველა ფლობდა ინფორმაციას, მათ შორის მეც, რომ პროექტის ფარგლებში ქვეყანას გარკვეული რაოდენობის დევნილი უნდა მიეღო და თავშესაფარი მიეცა. ყველამ მშვენივრად იცოდა, რა სახის მოტივი იყო პრიორიტეტული დადებითი პასუხის მისაღებად. ჰო, ნუ გიკვირთ!

პატარა ნიუანსს მოგაწვდით: ერთი პერიოდი ჰაჩჰოლში ვცხოვრობდი, წმ. სტეფან

გრინის მიმდებარე ტერიტორიაზე. საათობით ვადევნებდი ხოლმე თვალს, როგორ აპურებ-დნენ პატარა გოგობიჭები ხელოვნურ ტბაზე მოსრიალე ყელმოღერებულ გედებს სახლიდან წამოღებული პურის ნატეხებით. როგორ მოს-წონდათ და ახარებდათ ეს საქმიანობა, სუფთა ჰაერზე გასეირნების აუცილებელი ატრიბუტი! გაბრწყინებულ პატარებს ნაღვლიანად შეჰყუ-რებდნენ მათი მშობლები.

მათ მსგავსად მეც თითოეული გედი მეფე ლირის შვილებს მაგონებდა და ჩემ თვალწინ ქვეყნის ისტორიის ფურცლები ცვლიდა ერ-თმანეთს. რამდენჯერ დავიჭირე თავი, დღის განმავლობაში როგორ სათუთად ვაგროვებ-დი სასუსნავებს უცოდველ გედებთან წასაღე-ბად....

მე ცხოვრებას ჩემი წესებით ვერკინები ხოლმე. არ მიყვარს ბრძოლა წესების გარეშე!

ბოლო კადრი

ლაინერის შასები თითქოს ფრთხილად, ბიძგების გარეშე შეეხნენ საფრენ ზოლს და გასრიალდნენ. ისრიალეს და დინჯად შედგნენ. მიკროფონში ბორტგამცილებლის მოგუდულმა ხმამ მგზავრებს ბედნიერი დაშვება მიულოცა და მშვიდობიანი დღე უსურვა. სალონი თავშეკავებულად ახმაურდა. 13 მგზავრი, ორჯერ ამდენივე დაცვის მუშაკი, სამედიცინო პერსონალები, ჯგუფის ხელმძღვანელი.

– Back home! – კეთილ იყოს თქვენი მობრძანება ჩემს ქვეყანაში! რამდენ ხანს რჩებით? შემიძლია გიმასპინძლოთ! – მიუბრუნდა ნანა გვერდით მჯდომ პოლისვუმენს.

– გმადლობთ. ჩვენ სალონში ვრჩებით და 30 წუთში უკანვე გავფრინდებით. ძალიან მწყდე-

ბა გული, იმ ღამეს იქ რომ იყავით. Bad Time, bad place!

ადგა ნანა. გადაეხვივნენ ერთმანეთს. შემდეგ ღიმილით შებრუნდა უკანა სავარძელში მჯდომი „ნაცნობი“ ცისფერთვალება, სუფთა სისხლის ირლანდიელი policeman-ისკენ, თვალი გაუსწორა და ხელი გაუწოდა დასამშვიდობებლად: „ღმერთმა შეგინდოთ!“

Policeman-ს აუციმციმდა დამნაშავის განცდით სავსე თვალები. ყველაფერს, მაგრამ ამას ნამდვილად არ ელოდა. ახმაურებულ სალონში მხოლოდ მისი ხმა გამოიკვეთა:

– სხვა დროს უკეთესად დაიმალე, please!

– ნუ ღელავთ! ვეცდები სხვა იმიჯით დავბრუნდე! – მშვიდად შეჰღიმა ნანამ, დამშვიდობების ნიშნად ყველას ხელი დაუქნია და სალონიდან მსუბუქად გავიდა.

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა:
გამომცემლობა **„ივერიონი“**

თბილისი, კოსტავას ქ. № 6.

E-mail: info@iverioni.com.ge

ნანა შალამბერიძე

დაიბადა 1951 წლის 4 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფ. ნაქალაქევში. სწავლობდა გერმანისტიკას (1968 - 1973 წ.წ.) თსუ-ში. სწავლის დამთავრების შემდეგ შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას და ასწავლიდა გერმანულ ენას სენაკის პირველ, მესამე და მეხუთე საშუალო სკოლებში (1973-1985 წ. წ.). 1985-1995 წწ იყო საქართველოს განათლების სამინისტროს სენაკის რაიონული განყოფილების უცხოურ ენათა სწავლების მეთოდისტი თავდაპირველად, ხოლო შემდეგ ინსპექტორი. 1995 წ. ბრუნდება თბილისში და იწყებს ჟურნალისტურ საქმიანობას გაზეთებში „დილის გაზეთი" და „ექსპრეს ქრონიკა". არის დამაარსებელი გერმანულენოვანი გაზეთისა „TBILISSER ZEITUNG"-ი, რომელიც გამოიცემოდა თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით სპეციალურად გერმანული ენის მასწავლებლებისთვის. მასვე ეკუთვნის პროექტები ორენოვანი ჟურნალისა „GOETHE-INSTITUT TBILISI" (2003 წ.) და ევროკავკასიური უნივერსიტეტის ჟურნალისა K&L (2006) გერმანულ ენაზე. მისივე პროექტით გამოიცა ასევე უდიდესი გერმნისტისა და მთარგმნელის ქალბატონ ნათელა ხუციშვილის თარგმანები ვილჰელმ ბუშის წიგნებისა „მაქსი და მორიცი" და „პლიში და პლუმი". 2002 წლიდან ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას გერმანული და ინგლისური ენებიდან.

ცხოვრობს თბილისში.